

„თქვიმპარტიზაციის რეჟიმის ჩამოშლის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოს საცაგარეო ურთიერთობებში, იგი ყველაზე სერიოზულ... ყოველ სახელმწიფო, რევიანს ჩემსე ცოცხათ თუ სერვის დამცევანი, ნაწილ-ნაწილად ანთ დაყოფილი, რად მოქდას და მკვრივობა ადგილი იყოს.“

# ხობის მოამბე

№16 (7029) 30 სექტემბერი, სამშაბათი, 2014 წელი. ჯასი 70 თეთრი.

## ხობის მუნიციპალიტეტის განვითარების

### ჩვენ ვაპლიკაბთ საქართველოს დემოკრატიის და პანორმიალბათ მის კონსოლიდაციას



**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვა გაეროს გენერალური ასამბლეის 69-ე პლენარულ სხდომაზე, 2014 წლის 26 სექტემბერი. (ამონარიდები)**

აღებულ ვალდებულებებს. მიმანჩია, რომ საქართველოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია შეიძლება იყოს მაგალითი რეგიონის სხვა ქვეყნებისთვის. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავებასთან ერთად, ჩვენი ეკონომიკა სულ უფრო ღია და გლობალიზებული ხდება. ჩვენ ვახორციელებთ მნიშვნელოვან ინვესტიციებს და ვატარებთ რეფორმებს. ამ რეფორმების პარალელურად, ჩვენ მიზნად ვისახავთ გაეროს 2015 წლის შემდგომი პერიოდის განვითარების დღის წესრიგის შესრულებას. ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისათვის საქართველოს საზოგადოებასთან, რათა დადგინდეს ინკლუზიური და აღდამიანებზე ორიენტირებული 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგი.

ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც დგას საქართველოს წინაშე, არის იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკითხი. რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად, ქვეყანაში ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირია. მიუხედავად ამისა, საქართველო დღესაც იღებს ლტოლვილებს კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებიდან. სამწუხაროა, მაგრამ ლტოლვილთა ახალი ტალღების კერები არ მცირდება, განსაკუთრებით უკრაინასა და შუა აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტების გამო.

ჩვენ ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რათა დავეხმაროთ ჩვენს უკრაინულ მეგობრებს, რისთვისაც ვაწვდით ჰუმანიტარულ და ტექნიკურ დახმარებას. ჩვენი განსაკუთრებული სატკივარია უკრაინაში მიმდინარე პროცესები. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს და შეძლებისდაგვარად მხარში ვუდგავართ მომე უკრაინულ ხალხს. ნება მომეცით, მივმართო ჩვენს დებსა და ძმებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში: ძვირფასო დებო და ძმებო, ვიცნებთ იმ დღეზე, როცა ყველანი ერთად ვიცხოვრებთ და ჩვენ შორის მშვიდობა და კეთილდღეობა დაისადგურებს.

ამასთან, მოვუწოდებ რუსეთს, შეასრულოს 2008 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და შემოგვიერთდეს ჩვენი ოცნების - მშვიდობის, კეთილდღეობისა და შერიგების - ხორცმცემსაში.

ჩემი ქვეყნის გადაწყვეტილება, იყოს მსოფლიო უსაფრთხოებაში წვლილის შემტანი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებული ჩვენი მიწრაფებებიდან გამომდინარე, უკვე ნათელია. და ეს არის კიდევ საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი საყრდენი. ბოლო ორი წლის მიღწევების წყალობით, ჩემს ქვეყანას აქვს მნიშვნელოვანი პროგრესი, რომელიც განამტკიცებს ნატოში ჩვენს საბოლოოდ გაწევრიანების გზას.

ნატოს ისტორიული მნიშვნელობის სამიტზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. ჩვენი ხალხი კვლავაც ერთგულად ემსახურება ამ საბოლოო მიზანს. უელსის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად, ნატო მნიშვნელოვნად გაზარდის საქართველოს ინტეგრაციას და უზრუნველყოფს თანამშრომლობის ახალ, რეალურ და ხელშეწყობილი ინიციატივებს, რომლებიც გაზარდის საქართველოს შესაძლებლობებს და, ზოგადად, უსაფრთხოებას.

საქართველო ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალეებში ყველაზე დიდი წვლილის შემტანია. ჩვენ მხარში ვუდგავართ ჩვენს მოკავშირეებს ტერიტორიებისა და ორგანიზებული დანაშაულის ყველა ფორმასთან ბრძოლაში, ყველგან, მთელ მსოფლიოში.

### უხვი ნალექი ხობის მუნიციპალიტეტში



მნილ მდგომარეობას და მოსახლეობას თანადგომას უცხადებდნენ. მუნიციპალიტეტის გამგებელი გონა ქავაია დაბალი ზონის, მდინარე ხობისა და რიონისპირა სოფლებში არსებულ მდგომარეობას გაეცნო. თბილისი-სენაკი-ლეკლიძის საავტომობილო გზაზე სოფელ ხეთა-პირველი მაისის საზღვართან არხიდან გადმოღულმა წყალმა დროებით შეაფერხა მოძრაობა. სამაშველო ძალების

ხობის მუნიციპალიტეტში მოსალოდნელი უამინდობის გამო, 24 საათიან რეჟიმში მუშაობდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებობის შენობაში შექმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრი. მთელი დღის განმავლობაში მობილიზებული იყო მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური და სპეციალური ტექნიკა. გამგებელი გონა ქავაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობაჯა, გამგებლის მოადგილეები ვარაზ გაბედავა და მახარე ჩოკორაია გამგებობისა და საკრებულოს სხვა თანამშრომლებთან ერთად აქტიურად პარტულირებდნენ და სწავლობდნენ ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში უხვი ნალექისაგან შექ-



სწრაფი რეაგირებით გაწმენდითი მუშაობები ჩატარდა და პრობლემა დროულად აღმოიფხვრა. მიუხედავად უხვი ნალექისა ამ ეტაპისთვის სერიოზული ზიანი არცერთ სოფელში არ შეინიშნება.

**77 წლის ასაკში გარდაიცვალა სამაყო მამულიშვილი, ცნობილი ქართველი მხატვარი, მონუმენტალისტი და გრაფიკოსი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხობის საერთაშორისო ფესტივალის „სიმღერა სამეგრელოზე“, საორგანიზაციო ჯგუფის უცვლელი წევრი, ფესტივალის სიმბოლიკის ავტორი, 2011 წლიდან ხობის საპატო მოქალაქე ემირ ბურჯანაძე**

ხობის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია და ხობის საერთაშორისო ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის წევრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ღირსეული მეგობრის დაკარგვის გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგებობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 77 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, „სიმღერა სამეგრელოზე“ ფესტივალის სიმბოლიკის ავტორი, ქ. ხობის საპატო მოქალაქე, ნიჭიერებით, პატიოსნებითა და კაცურ-კაცობით გასხივოსნებული პიროვნება ემირ ბურჯანაძე და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

# ისაუბრეს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე

(ერთი დღე ჩაქვში)

აგვისტოში დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე, საკურორტო ზონის პრეზენტაციაზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ინიციატივით ხორციელდება, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა: განსაკუთრებით მინდა მივსალამო გოდერძი ბუკიას, რომელიც არის ამ პროექტის სულისჩამდგმელი და ინიციატორი. „მოხარული ვარ, რომ აქ, აჭარაში ხორციელდება უპრეცედენტო, ინოვაციური პროექტი—დროულად ოაზისი“, რისთვისაც ჩაქვში შემოდის 105-მილიონიანი ინვესტიცია. ეს არის ყველაზე მსხვილი ევროპული ინვესტიცია აჭარაში. ჩვენთვის ნამდვილად სა-

ვში ჟურნალისტ გოგი ბუკიას სახელობის ნარდის საერთაშორისო ტურნირის ფინალზე იყვნენ მიწვეულნი. დეპუტატთან არაოფიციალურ შეხვედრაზე საუბარი იყო მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე. სოფლის წარმომადგენლებმა ისაუბრეს სოფელ გურიფულის წყალმომარაგებაზე, ასევე სოფელ ქვემო ქვალონის საჯარო სკოლის მშენებლობის საკითხზე, რომელიც პარლამენტარმა პარლამენტის წინაშე დააყენა და როგორც აღინიშნა გადაწყდა, რომ მომავალი წლიდან სკოლის მშენებლობა დაიწყება.

ჩვენ შეხვედრის მონაწილეებს ვესაუბრეთ:

თა. დეპუტატისგან გავიგეთ სობში განსახორციელებელ მომავალ პროექტებზე, რაც შეცვლის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურას, გააჩენს სამუშაო ადგილებს და გააძლიერებს მის ეკონომიკას. სადამოს კი მოგვიწვიეს ვახშაშზე. ძალიან ნაყოფიერი და სასიამოვნო დღე იყო.

## შავლემ ბუშია, სობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წამომადგენელი ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში.

—წელს მერვედ, ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში“ ჩატარდა ქართველი ჟურნალისტის, ნარდის დიდი ქომაგის, გოგი ბუკიას სახელობის მემორიალური ღია საერთაშორისო ტურნირი ნარდში, სადაც მონაწილეობას ქართველ მონარდებთან ერთად სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული ნარდის ქომაგები და მოქმედი ჩემპიონები იღებდნენ. აღსანიშნავია, რომ ტურნირში სობის მუნიციპალიტეტის ღირსებას ხეთის მკვიდრი გურამ ვართაგავა იცავდა, მან საკმაოდ დამაჯერებლად იასპარეზა ტურნირში, რაც უდაოდ აღნიშვნის ღირსია.

13 სექტემბერს სობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას მოწვევით სობის მუნიციპალიტეტიდან საჯარო მოხელეები ჩაქვში სასტუმრო „ოაზისში“ ვიმყოფებოდით. თბილი და ტრადიციული მასპინძლობა გავიწვია დეპუტატმა, სასიამოვნო გარემო და ძალიან ბევრი საპატიო სტუმარი იმყოფებოდა ტურნირზე. დეპუტატმა გავაცნო სამომავლო გეგმები, ძალიან საინტერესო დიალოგი წარიმართა ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარების საკითხებზე. მოხდა ბევრი სამომავლო პროექტების განხილვა. დადებითად და სასიამოვნოდ გატარებული დღის ბოლოს სტუმარ-მასპინძლობა ჩვეული ტრადიციით დასრულდა.

მინდა ვისარგებლო თქვენი გაზებით და მადლობა გადავუხადო გოდერძი ბუკიას პირველ რიგში ასეთი თბილი დახვედრისთვის, ყველა იმ კეთილი საქმის წამოწყებისა და განხორციელებისათვის, რაც მან გააკეთა და რასაც მომავალში გააკეთებს საქართველოსა და ჩვენი მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისთვის.

## ეს შეხვედრა იყო გაცნობითი ხასიათის, გულახდილი და საქმიანი.

შემდეგ ტრადიციული სადილი გაიმართა. კიდევ ერთხელ ითქვა ქართველი ხალხისა და საქართველოს სადილებელი.

მერი ლაზვილაშვილი



ამაყა, რომ ამ თანამედროვე, ძალიან პერსპექტიული, აპარტოტიდის ტიპის პროექტის განხორციელების ადგილად ავსტრალიაში ინვესტირებმა სწორედ საქართველოს კურორტი შეარჩიეს. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო არის სანდო და საიმედო პარტნიორი სერიოზული პროექტების განხორციელებისთვის, — განაცხადა სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

საკურორტო ზონა რეამლანდასის-ში „საერთაშორისო“ სტანდარტების შესაბამისი სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლები განთავსდება. ტერიტორიაზე ამ დროისთვის 21 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მიმდინარეობს. კომპლექსში 3 ღია და 1 დახურული აუზი, აკვაპარკი, კორტები და მოედნები მოეწყობა. ტერიტორიაზე მთლიანობაში 1000 სასტუმროს ტიპის ბინა განთავსდება.

მას შემდეგ დიდი დრო არ გასულა, მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. 13 სექტემბერს მისი ხილვისა და დათვალიერების პატივი ერგოთ მუნიციპალიტეტის სოფლებსა და თემებში გამგებლის წარმომადგენლებს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებს, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს, ისინი ჩაქ-

## ირაკლი ბერაია, სობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წამომადგენელი ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში.

—13 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ბატონი გოდერძი ბუკიას მიწვევით, სობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, გამგებლის წარმომადგენლები და საკრებულოს წევრები ვიმყოფებოდით ჩაქვში, სადაც მიმდინარეობდა სობის ღირსეული მკვიდრის გოგი ბუკიას მემორიალური საერთაშორისო ტურნირი ნარდში. ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში“ გამართულ ჩემპიონატზე მსოფლიოს 15 ქვეყნის საერთაშორისო მონარდები იღებდნენ მონაწილეობას. მოეწყო შეხვედრა, სადაც გავეცანით საქართველოში უპრეცედენტო 105 მილიონიანი პროექტის მიმდინარეობას, რომელიც გულისხმობს ჩაქვში დასასვენებელი და საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას.

შეხვედრაზე აგრეთვე ვისაუბრეთ სობის მუნიციპალიტეტში ბატონ გოდერძი ბუკიას ინიციატივით სიმინდის ხეთის ქარხნისა და შუა ხორგამის სოფლის მეურნეობის მიმართულებით წამოწყებული პროექტების შესახებ, შეხვედრა ძალიან საინტერესოდ წარიმარ-



# სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

29 სექტემბერს, სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობაჯვა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს, გამგებლის და ადგილობრივი თვითმმართვე-

გამგებლის მიერ წარმოდგენილი იურიდიული პირების წესდებებში ცვლილებები. ების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მიზნით, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, შეიქმნა კომისია 7 წევრის შემადგენლობით.



ლობის სამსახურის ხელმძღვანელები. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, სხდომაზე პირველ საკითხად განხილულია „სობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი, რომელიც წარმოადგინა გამგებლის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა დავით ჭოჭუამ. ადგილობრივი ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად ცვლილებები განხორციელდა „სობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 იანვრის N1 განკარგულებაში.

სხდომაზე მეორე საკითხად განხილულია „სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ პროექტი, რომელიც წარმოადგინა გამგებლის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ზ. ბუკიამ. წარმოდგენილი პროექტით ცვლილებები შევიდა გამგებლის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურსა და შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის დებულებებში. გამომდინარე იქედან, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების დაფუძნება და მართვა-გამგებლობა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილება გახდა, კანონის ზემოთ აღნიშნული ნორმის ასახვა ხდება გამგებლის შესაბამისი სამსახურების დებულებებში, კანონის მოთხოვნის თანახმად იურიდიული პირების საქმიანობის პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს როლის სამართლებრივი განსაზღვრის მიზნით,

**შოთა სირაძე**—საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე-კომისიის თავმჯდომარე; **როსტევეან გვარამია**—საკრებულოს ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატიის“ თავმჯდომარე-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; **გონა სიჭინავა**—საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე-კომისიის წევრი; **ლამზირა თოდუა**—სობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და ადგილობრივი მოსახლეობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი-კომისიის წევრი; **ეკა ტიბუა**—სობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი; **გონა შანავა**—სობის მუნიციპალიტეტის გამგებლის სოფლის მეურნეობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი; **სევერიან ბუკია**—სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი.

სხდომაზე ასევე განხილულია „სობის მუნიციპალიტეტის სამსახურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელების შესახებ“ განკარგულების პროექტი, რომელიც შეთანხმებულია გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიისათან.

საკრებულოს გადაწყვეტილებით „სობის მუნიციპალიტეტის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივქმედ კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა სობის მუნიციპალიტეტის გამგებელი **გონა ქაჯაია**. დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა დანარჩენი საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე სხდომა დახურულად გამოაცხადა.



3

ამ ინტერვიუს პირველ კითხვას და-  
ვუბრუნდები და გეტყვით, რომ მე მინდა  
ჩემი თაობის ოცნების ასრულებაში  
წვლილი შევიტანო და ეს ჩემი ცხოვ-  
რების ისეთივე ნაწილია, როგორც  
ოჯახი, მეგობრები, ბიზნესი...

რა შეეხება დანაპირების შესრულებას,  
წინ თითქმის ოთხი წელია. მცდელობა,  
მოთხოვნა, გზების ძიება ყოველდღიუ-  
რი საქმეა, მთავარია, არსებობდეს შე-  
საძლებლობა და სურვილი ხალხის  
მოთხოვნა დროზე გაიცნობიერო და იმოქ-  
მელო. სწორედ ხალხის მოთხოვნის შეს-  
რულებაზეა დამოკიდებული სხდომების  
სიმშვიდე...

**რესპუბლიკური პარტია ანგა-  
რიშვასაწვეი ძლიერი პარტიაა,  
რა გეგმები აქვს თქვენს პარტი-  
ას (ფრაქციას)?**

—მართალი ბრძანდებით, რესპუბლი-  
კური პარტია ძლიერი პარტიაა. ქვეყნის  
პარლამენტის თავმჯდომარე ამ პარტი-  
ის წევრია, პარლამენტში საკუთარი  
ფრაქცია გაგვანია. ამჯერად პარტია  
შესაბამისი პასუხისმგებლობის მატა-  
რებელი ორგანიზაციაა, რომელსა 35  
წლიანი გამოცდილება აქვს. 2012 წლი-  
დან კოალიცია „ქართული ოცნების“  
ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორია და მო-  
მავალშიც კოალიციურ რეჟიმში მუ-  
შაობას გეგმავს.

ხობის საკრებულოში ჩვენს ფრაქცი-  
აში ოთხი წევრია; ლაშა ცატაგა, გენა-  
დი ქაძანაია, შოთა სირაძე და მე. ბატონ  
შოთა სირაძე იურიდიული კომიტე-  
ტის თავმჯდომარეა, ყულევის მაჟორი-  
ტარი, გენადი ქაძანაია ძვ. ხიბულის  
მაჟორიტარი, ლაშა ცატაგა პარტიუ-  
ლი სიით არის გასული, მე კი პირველი  
მაისის მაჟორიტარი და ფრაქცია „ქარ-  
თული ოცნება რესპუბლიკელების“  
თავმჯდომარე. როგორც ქვეყნის მას-  
შტაბით, აქაც მუშაობას კოალიციურ  
რეჟიმში ვაგრძელებთ და ჩვენის მხრივ  
ყოველთვის სამართლიანობის სადა-  
რჯოზე ვიქცევით.

**ბატონო მალხაზ! მიზანმიმარ-  
თული ბრძანდებით, მიზანი ყო-  
ველთვის ამართლებს  
საშუალებას?**

—მიზანი ყოველთვის არ ამართლებს  
საშუალებას. რაც არ უნდა იყოს, დიადი  
მიზანი, ბინძური საშუალებებით ის გა-  
ფერმკრთალდება. ცოდველი გზებით სა-  
მოსხე ვერ მიიღწევა.

**თქვენ რომ საკრებულოს  
თავმჯდომარე იყოთ, რას შეც-  
ვლიდით?**

—ყველაფერს დრო გვიჩვენებს. საკ-  
რებულოს თავმჯდომარეც მქნებოდა და  
როგორც კარგ თამადას სუფრაზე უყუ-  
რდებოდა და უკმაყოფილო რომ არა-  
ვინ რჩება, ამ შემთხვევაშიც ასე უნდა  
იყოს.

**როგორ წარმოგიდგინათ საკ-  
რებულო ვადის ამოწურვის  
დროს?**

—ამ საკრებულომ რეალურ თვითმმარ-  
თველობას უნდა ჩაუყაროს საფუძველი  
და საზოგადოებაში ეს შეგნება უნდა გა-  
ნავითაროს. ხალხი უნდა მიხვდეს, რომ  
რაც ჩვენს ირგვლივ არის, ყველაფერი  
ისევე როგორც შიგნით ეზოში, გარე-  
თაც ჩვენი მოვლის საგანია და, რომ ვი-  
საც ვირჩევთ, ვირჩევთ იმისთვის, რომ  
ორგანიზება გაუკეთოს ამ საქმეს. თუ  
ამ საკრებულომ მოახერხა და ხალხს  
გაუჩინა ამ საქმეში ჩართულობის შეგ-  
ნება, კულტურა, თავისი ფუნქცია შეს-  
რულებული ექნება.

**ეკლესიური ბრძანდებით?**

—ჩემი მოძღვარიც და მეგობარიც მა-  
მა კირიონია.

**სურვილი, რომლის შესრუ-  
ლებას უფალს თხოვთ?**

—წარმავალი სურვილები ადამიანს  
ბევრი აქვს და უფალს ამაზე არ ვაწუხებ.  
დე, იყოს ნება მისი. თხოვნიტი კი ვთხოვ,  
რომ გვიხსნას ყოველგვარი განსაცდელ-  
ლისაგან.

ძილად მისვლის დროს ვტრიალებ  
ქვეყნიერების ოთხივე მხარეს და ჯვარს  
გადავსახავ, ეს ჩვეულებად მაქვს.

ესაუბრა  
მერი ლაგვილაძე.



სოფლის მეურნეობა ათწლეულების წინათ ხობის  
მუნიციპალიტეტში ერთადერთი ძირითადი და  
პრიორიტეტული დარგი გახლდათ. მაგრამ... მიზეზთა  
სხვათა გამო, ის დეგრადაციის გზას დაადგა...

სოფლის მეურნეობის აღმავლობისთვის ზრუნვა  
დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტე-  
ტიაა. ქვეყანაში ყველაფერი კეთდება დარგის  
აღმასვლისთვის. საამისოდ ყველგან და მათ შორის  
ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, სოფლის მე-  
ურნეობის განვითარების სამსახური შეიქმნა, რომლის  
ხელმძღვანელად სოფლის მეურნეობის

კვალიფიციური სპეციალისტი, ძალზე გამოცდილი, საქმისმცოდნე, ნიჭიერი, და  
რაც მთავარია, პასუხისმგებლობის მაღალი დონის მქონე პიროვნება ბასია ნაწყა-  
ბია დანიშნა.

თუ რა არის მისი სამსახურის არსი და მნიშვნელობა, რა ინოვაციები იქნება  
გამოყენებული დარგის განსავითარებლად, რა სიახლეებს პირდება ახალი  
სამსახური გლეხებსა და მენარმეებს, რედაქციაში სასაუბროდ მოვიწვიეთ გამგე-  
ობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი ბასია ნაწყაბია.  
გთავაზობთ მასთან ინტერვიუს:

# სოფლის მეურნეობა თავისი პრიორიტეტებითა და ინოვაციებით

**წარმოგიდგინეთ თქვენი  
სამსახური, მისი შექმნის არ-  
სი, ძირითადი საქმიანობა და  
მიზნები?**

—გამგეობის სოფლის მეურ-  
ნეობის განვითარების სამსახურის  
ფუნქციონირების აუცილებლობა  
შეიქმნა მას შემდეგ, როცა სოფ-  
ლის მეურნეობის განვითარებას  
ქვეყნის მასშტაბით პრიორიტეტი  
მიენიჭა, რაც გულისხმობს, რომ  
აგრარულ სექტორში გატარებული  
სწორი რეფორმის კვალობაზე, თა-  
ნამედროვე მრავალფეროვანი მე-  
თოდებისა და ახალი ტექნოლო-  
გიების გამოყენებით, მივიღოთ სა-  
სურველი ეკონომიკური შედეგები.  
ამ სიტუაციაში ეს სამსახური შეგ-  
ვიძლია განვიხილოთ როგორც  
სახელმწიფო პოლიტიკის დამხმა-  
რე ინსტრუმენტი, რომლის და-  
ნიშნულება იქნება მოსახლეობას  
ეფექტურად განუმარტოს აგრა-  
რული რეფორმების მიზნები, გა-  
აცნოს თამაშის ახალი წესები და  
სოციალურ-ეკონომიკური კლიმა-  
ტის რეგულირების პრინციპები.  
რაც შეეხება კონკრეტულ საქმი-  
ანობას და მიზნებს, ვეცდებით, უზ-  
რუნველყოთ ფერმერთა გაერთი-  
ანების ობიექტული ფორმირება  
და ხელი შევუწყოთ კოოპერირ-  
ების პროცესს.

აღნიშნულ სამსახურს ასევე  
ევალდა საქართველოს მთავრობისა  
და საერთაშორისო ორგანიზა-  
ციების მიერ დაგეგმილი სოფ-  
ლის მეურნეობის განვითარებისა  
და საინვესტიციო პროექტების  
განხორციელების ხელშეწყობა,  
დარგების მიხედვით პროექტებისა  
და წინადადებების შემუშავება და  
მათ განხორციელებაზე ზრუნვა.  
ზემოთ აღნიშნული სამსახურის  
ფორმირებით, გლეხებსა და ფერ-  
მერებს საშუალება მიეცემათ,  
სოფლის მეურნეობის სექტორში  
მიმდინარე სიახლეებისა და თა-  
ნამედროვე ტექნოლოგიების შე-  
სახებ ადგილზე მიიღონ კვალი-  
ფიციური დახმარება, ასევე  
გლეხებისა და ფერმერების საქ-  
მიანობისა და საჭიროებების შეს-  
წავლის საფუძველზე სამსახური  
შეიმუშავეს რეკომენდაციებს

ხობის მუნიციპალიტეტისათვის სა-  
სოფლო-სამეურნეო პრიორიტეტის  
მიხედვით.

**სოფლის მეურნეობის რო-  
მელი დარგები იქნება თქვენ-  
თვის პრიორიტეტული, პირ-  
ველ რიგში საიდან იწყებთ მუ-  
შაობას, რის გაკეთებას აპი-  
რებთ დასაწყისში?**

—ჩვენს მუნიციპალიტეტში ფერ-  
მერთა მოთხოვნილების შესაბამი-  
სად განისაზღვრება პრიორიტეტები  
და შემუშავდება რეკომენდაციები,  
აქვე მოხდება ახალი ტექნოლო-  
გიების შერჩევა-დაწერვა, სასურ-  
ველია, ეს განხორციელდეს ექსპე-  
რიმენტული და საცდელ-სადემონ-  
სტრაციო მეურნეობების სახით. აღ-  
სანიშნავია, რომ „ადგილობრივი  
თვითმმართველობის შესახებ“ სა-  
ქართველოს ორგანული კანონი  
სოფლის მეურნეობის დარგში გარ-  
კვეული პროექტების დაფინანსების  
საშუალებას იძლევა. ამ ეტაპზე  
სამსახური მუშაობს იმ წინადა-  
დებების შემუშავებაზე, რომელიც  
წარედგინება ადგილობრივ თვით-  
მმართველობას დაფინანსების უზ-  
რუნველსაყოფად.

**რა პრობლემებს ხედავთ  
დღეს ამ დარგში და როგორ  
სახვით ამ პრობლემების მოგ-  
ვარების გზებს?**

—რაც შეეხება პრობლემებს,  
ძალიან ბევრია. მუნიციპალიტეტ-  
ზე რიცხული მიწის საფარგულთა  
დიდი ნაწილი თავისი ნიადაგურ-  
კლიმატური პირობებისა და რე-  
ლიეფური მდებარეობის პი-  
რობებიდან გამომდინარე, მოქცეუ-  
ლია ქარისმიერი და წყლისმიერი  
ეროზიის ზეგავლენის ქვეშ, ადგი-  
ლი აქვს მიწის საფარგულთა ნა-  
ყოფიერების, აგროქიმიური, აგრო-  
ფიზიკური და ბიოლოგიური თვი-  
სებების გაუარესების ტენდენციას.  
წვრილი გლეხური მეურნეობების  
რაოდენობრივმა ზრდამ გამოიწვია  
მიწათმოქმედების საერთო კულტუ-  
რის გაუარესება, სპეციალიზაცი-  
ის შევიწროება, გენეტიკურად ერ-  
თგვაროვანი ჯიშების მოყვანა,  
თესლბრუნვის დარღვევა და მინ-  
დვრების დასარეგულირება. დღევან-  
დელ პირობებში მუნიციპალიტე-

ტის მიწის საფარგულების მდგო-  
მარობაზე დაკვირვების სისტემის  
შემოღება, მისი შეფასება და ნეგა-  
ტიური მოვლენების მონიტორინ-  
გი წარმოადგენს მიწის საფარგულ-  
თა ნაყოფიერების შენარჩუნებისა  
და აღდგენის ძირითად საშუალებას.  
დაშრობითი საშუალების განხორ-  
ციელება წარმოადგენს მიწათმოქ-  
მედების ეფექტურობის ამაღლების  
ძირითად ფაქტორს. ასევე, აუცი-  
ლებელია, არსებული სამელიორა-  
ციო პოტენციალის მაქსიმალურად  
გამოყენება. პრობლემაა მუნიცი-  
პალიტეტში რიცხული ტექნიკის  
განახლებისა და შევსების თვალ-  
საზრისით. აუცილებელია არ-  
სებული სასოფლო-სამეურნეო მან-  
ქანების ცენტრების განვითარება და  
ახალი ცენტრების ჩამოყალიბება.  
განსაკუთრებულ ყურადღებას მო-  
ითხოვს მეცხოველეობის დარგის  
აღორძინება. მეცხოველეობის და-  
ნიშნულების ძველი ობიექტების რე-  
კონსტრუქცია და ახალი ობიექ-  
ტების მშენებლობა, ასევე აუცი-  
ლებელია მეცხოველეობის ფერ-  
მებისთვის ახალი ტექნოლოგიუ-  
რი დანადგარების, მოწ-  
ყობილობებისა და სანაშენი პირუტყ-  
ვის შექმნა. მცენარეთა დაცვის  
კუთხით საჭიროა ინტეგრირებული  
გეგმის მეცნიერულად და-  
საბუთებული ქიმიური დაცვის სა-  
შუალებების გამოყენება, რომელიც  
მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური  
საშუალებების გამოყენებას ითვა-  
ლისწინებს.

**რა პროექტები ხორციელ-  
დება სოფლის მეურნეობაში  
მეწარმეობის სტიმული-  
რებისთვის, სოფლის მეურ-  
ნეობის მხარდასაჭერად რო-  
მელი ორგანიზაციები მუ-  
შაობენ?**

—დღეს მიმდინარე და უკვე დას-  
რულებული პროექტები სოფლის  
მეურნეობის სამინისტროს მიერ  
არის ინიცირებული, მათ შორის  
აღსანიშნავია 2014 წლის მცირე-  
მიწიანი ფერმერთა ხელშეწყობისა  
და შეღავათიანი აგროკრედიტის  
პროექტები, ახალი სამთავრობო  
პროგრამა „წარმოე საქართველო-  
ში“, რომელიც მიმართულია წარ-

მოების განვითარებისა და წახალი-  
სებისაგან, ასევე სახელმწიფო ხელ-  
შეწყობისა და დაფინანსების პრი-  
ორიტეტულ მიმართულებად მიწ-  
ნული კოოპერაციულ საწყისებზე  
ფუნქციონირებადი ორგანიზაციების  
ხელშეწყობა, რადგან მხოლოდ კო-  
ოპერირების საშუალებით არის შე-  
საძლებელი ორი საწყისის გაერ-  
თიანება: საკუთრების, რომელიც  
აძლევს მის მფლობელს არჩევანის  
თავისუფლებას და მასშტაბური  
წარმოების, რომელიც განაპი-  
რობებს ერთის მხრივ, ტექნიკურ  
და ეკონომიკურ უპირატესობას და  
მეორეს მხრივ, ავტორიტეტსა და  
წონას სასაქონლო და საფინანსო  
ბაზრებზე. მათი საშუალებით ფერ-  
მერებსა და მეწარმეებს მიეცემათ  
პირველადი პროდუქციის წარ-  
მოების, გადამუშავებისა და რეა-  
ლიზაციის ერთიანი ციკლის შექ-  
მნის შესაძლებლობა, სადაც პრო-  
დუქციის ღირებულება ყოველ სა-  
მეურნეო საფეხურზე იზრდება. ასე-  
ვე, მინდა აღვნიშნო აგროდაზღვე-  
ვის საბილოტე პროგრამის შესახებ,  
რომელიც სექტემბრიდან ამოქმედ-  
დება და ითვალისწინებს ფერმერ-  
თა ძალიან დიდი ნაწილის სატკი-  
ვარს, რომ მათ როგორც დააზ-  
ღვიონ თავისი მოსავალი და ქო-  
ნება. ჩვენი გლეხები და ფერმე-  
რები ყოველწლიურად ზარალ-  
დებიან სტიქიური მოვლენების გა-  
მო, აგროდაზღვევა კი ფარავს მათ  
ზარალს.

რაც შეეხება დარგში მომუშავე  
საერთაშორისო ორგანიზაციებს, გა-  
მოვეყოფი სოფლის მეურნეობისა  
და სოფლის განვითარების ევრო-  
პის სამეზობლო პროგრამის  
(ENPARD-საქართველო) ფარ-  
გლებში მომუშავე არასამთავრობო  
ორგანიზაცია „ქეა საერთაშორისო  
კავკასიაში“, რომელიც რეგიონუ-  
ლი განვითარების ასოციაციასთან  
(RDA) და თბილისის სახელმწი-  
ფო უნივერსიტეტის საერთაშორისო  
ეკონომიკის სკოლასთან (ISET)  
ერთად სოფლის მეურნეობის გან-  
ვითარების მნიშვნელოვან პროექ-  
ტებს ახორციელებს ჩვენს მუნი-  
ციპალიტეტში.

**როგორია სოფლის მეურ-  
ნეობის ინოვაციებისა და  
ახალი ტექნოლოგიების დანერ-  
გვის მდგომარეობა ჩვენს მუ-  
ნიციპალიტეტში?**

—განვითარება ნელი ტემპებით  
მიმდინარეობს, მაგრამ წინსვლა მა-  
ინც იგრძნობა. აღსანიშნავია ჩვენი  
მაჟორიტარი ღებუტატის ბატონი  
გოდერძი ბუკიას ძალისხმევა,  
ახალი სამთავრობო პროგრამა  
„წარმოე საქართველოში“ ფარ-  
გლებში ხობის მუნიციპალიტეტ-  
ში გაიხსნას თანამედროვე სტან-  
დარტების შესაბამისი სიმინდის  
მარცვლის გადამამუშავებელი და  
ზეთის მწარმოებელი საწარმო, რო-  
მელიც უახლოეს მომავალში ამოქ-  
მედდება. ასევე, აღსანიშნავია მუ-  
ნიციპალიტეტის მოსახლეობის და-  
ინტერესება მიმდინარე პროექ-  
ტებთან დაკავშირებით. უკვე შე-  
იქმნა რამდენიმე ათეული სასოფ-  
ლო-სამეურნეო სტატუსის მქონე  
კოოპერატივი, ხოლო შეღავათიანი  
აგროკრედიტის ფარგლებში სარ-  
გებელი მიიღეს ადგილობრივმა  
ფერმერებმა და მეწარმეებმა.

ესაუბრა  
ნაზი კილაძე.

მ ჯ ა ს ი



ჭირს თხილისა და სიმინდის ფართობების მოვლა, წელს 2 ტონამდე თხილი მოვაგროვეთ, სიმინდის უხვ მოსავალს ველოდებით. მას სოკვს შარშან სობიდან მოვდივით, მიკროავტობუსი ჭიშკართან გავაჩერებინე, ეზოში სიმინდის კალო იდგა, რომ ჩამოვდივით, მოხუცმა მგზავრმა ხუმრობით მითხრა, რძალი გაყოთ? ან ვინ გაბედავდა ქალბატონო, ეს კალო თუ დაინახათ, - იცინის ქალბატონი დალი.

ნათქვამია: ყოველი ახალი, კარგად მივიწყებული ძველიაო. მივიწყებისა რა ვთქვა, მაგრამ ჩვენი გაზეთის რუბრიკა „ოჯახი“, კარგა ხანია არ გამოგვიყენებია... საბედნიეროდ, ჩვენს მუნიციპალიტეტში გამორჩეული ოჯახები და ადამიანები საძებარი როდია, სწორედ მათ ხერხემალზე დგას ჩვენი ყოფა, ყოველდღიურობა.

სადღეისოდ ჩვენი არჩევანი სოფელი საჯიჯაოზე შევჩერეთ... სოფელი დიდია და სახელოვან ოჯახთა სიმრავლეც შესაბამისი. ჟურნალისტ ნანა კემულარიასთან გზადმივაკვალს ქალურმა სისუსტემ მძლია, ლამაზმა ეზოებმა და ყვავილნარმა ორივე მოგვხიბლა და

„კატარა სხელმწიფოს“ დირსეული მართვა სჭირდება...



სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, საგადასახადო სამსახურის ინსპექტორად და ა. შ.) მცირედი თანხა დავაგროვე, მცირედი ბიზნესიც ავაწყვეთუმცა ქართული „ომიანობის“ დროს ორჯერ დამაყაჩაღეს და ძლიერ გადავრჩი, მაგრამ დრომ მაინც თავისი გაიტანა, რადიკალური ცვლილებები და-

ჩვენი მანქანაც ერთ-ერთ ასეთ სახლ-კართან შევჩერეთ. მასპინძელი ნაცნობი აღმოჩნდა. მართალია, ფიზიკურად შეცვლილი (ასაკს მაინც ვერ აუვლი გვერდს), მაგრამ ისეთივე ლაღი, იუმორით გაჯერებული მოსაუბრე, როგორც წლების წინათ. შინ შეგვიპატიჟა.

ცხელა, სხვა თუ არაფერი, ცივი ნესვი არ გავწყენდით და სულმა გვძლია, თუმც კურიოზიც დაგვემართა-გამრიცხველიანების გამო შუქი გამოერთოთ და შეგვერჩა თბილი ნესვი, მაგრამ, რაც მთავარია, ტკბილი.

ეზოში ყვავილნარის სურნელი ტრიალებს. კოპია, „წკრიალა“ ეზო სულს ატკობს, „თბილისელმა“ შვილიშვილებმა კახი და უჩა ღვინჯილიებმა გავკარეთეს და გავვაძვირებულეს... სიტყვა გაგვიგრძელდა, ეს დალი და ანზორ ფოცხორაიების დიდებული ოჯახია. საუბრისას გავიგეთ, რომ ახლახან მათი შვილი ედიშერ ფოცხორაია სოფელში გამგებლის წარმომადგენლად დაუნიშნა. ორმაგად გავვიხარდა, რადგან საგაზიო მასალაც გავიგედიდრდა.

აქ, ვიდრე დაგვასხლდებოდით, ცარიელი ტერიტორია იყო, - მიყვება ოჯახის დიასახლისი, ქალბატონი დალი კუჭავა. ჯერ ფართის განაშენიანებით დაიწყო. მას სოკვს, როგორი სიხარულით ვშრომობდით, სანტიმეტრებით ვზომავდით რიგთაშორისებს... წამოიხარდნენ თუ არა, შვილებიც ჩვენს გვერდით მუშაობდნენ, ამიტომ დღესაც არ გვი-

ლაგდა, მითუმეტეს ახლა, როცა ნელ-ნელა ყველაფერი თავის ადგილას დგება.

ხელისუფლების ცვლას ყოველთვის თან ახლავს გაუგებრობები, ყველა კმაყოფილი ვერც ერთი ხელისუფლების დროს ვერ იქნება. ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს... თუ ხელი არ გაანძრე, ხეციდან არავინ არაფერს ჩამოგივლებს.

მეცხოველებოა ისეთი დარგია, თუ შრომას არ დაიხარებ, ლუკმა პური არ მოგაკლდება, ამჯერად 20 სულზე მეტი პირუტყვი მყავს. ბედნიერი კაცი ვარ. ორივე შვილმა უმაღლესი განათლება მიიღო. ინგას თავის მეუღლე კახა ღვინჯილიასთან ერთად ბედნიერი ოჯახი აქვს, ორი ვაჟიკაცი შვილიშვილი მეზრდება. იმედია, რძალს მართლა არ შეეშინდება დიდი ოჯახის მოვლის და ახალი წევრები შემოგვემატება...

პოლიტიკაზე საუბარსაც ვერ ავცდით.

ბატონი ანზორი, როგორც ბევრი სხვა, ელოდება სამართლიანობის აღდგენას, ქვეყნის ალორმინებას, და გაძლიერებას, სამუშაო ადგილებს, ხალხის დასაქმებას...

მე ჭიშკრისაკენ მიჭირავს თვალი, ადმინისტრაციული შენობისკენ მიჩქარება.

სოფლის ცენტრში სიმშვიდეა. ადმინისტრაციულ შენობაში თავად გამგებლის წარმომადგენელი და თანამშრომლები ვარდო ადამია და ნატრული კვარაცხელია

დაგვხვდნენ. ბატონი ედიშერი სულ ერთი თვეა ამ თანამდებობაზეა, როცა ვკითხე, კმაყოფილია თუ არა, დიმილით მპასუხობს: - რომ გითხრათ ამზე ბავშვობიდან ვოცნებობდი მეთქი, არ ვიქნები მართალი, მაგრამ რატომაც არა. აქ დავიბადე და გავიზარდე, აქ მაქვს ოჯახი, აქ ცხოვრობენ ჩემი „ილიკო და ილარიონი“, ეს ჩემი ოდაბადა, მე ახლა დამიდეგა ის დრო, როცა სიყვარულს სიყვარულით ვუპასუხო, ნაამაყარი ავანაზლაურო, გაჭირვებულს ტკივილი დავუამო, მათი ღვინი და ჭირი გავიზიარო.

საუბარში დანტეს ჭანტურია შემოგვეწრო და ჩავკვეთო.

თავიდანვე აღვნიშნე, რომ საჯიჯაო ერთ-ერთი დიდი სოფელია მუნიციპალიტეტში, 945 კომლით, დიდი ტრადიციების, ღირ-

ლა სოფელში, ჩვენთანაც მოქმედებს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა. ამ პროექტის ფარგლებში ხალხის არჩევანით მოიხრეშა შიდა გზები, შემოიღობა საძოვარი, რასაც 70 ათასი ლარი დასჭირდა, ახლა დაბრუნებული თანხით, რომელიც 9 000 ლარამდე იქნება, ჯაბიშაქარის უბანში მოიხრეშება 2000 მეტრი შიდა გზა. დარჩენილი თანხით ჯონი ხეცურის მგებობებისა და სოფლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის თხოვნით, შევიძინეთ სავარჯიშო ინვენტარს.

ჩაის პლანტაციების გავლურებული ნაწილი, ალბათ, გაიყიდება. ველოდებით შესაბამისი კანონის მიღებას.

თი მათგანი, მაგრამ მათ სახელგვარები სოფლის მატეანიდან არ ამოიშლება.

ედიშერ ფოცხორაიას კაბინეტში შესვლისას უმაღლე შევნიშნე, ყველაფერი ისევე იხევა, როგორც ბატონ ავთანდილ ხუნჯუას დროს, მაგიდაც კი იგივეა... ვფიქრობ, ეს დიდი მოვალეობაცაა და პასუხისმგებლობაც, რომელსაც ადამიანუ-



რი სისუსტეები ვერას დააკლებს... თუმც იმ ძველ მაგიდას კომპიუტერი ამშვენებს, თანამედროვეობის კიდევ ერთი ნიმუში.

ნასიამოვნები და კმაყოფილები მოვდივართ. აქ ვნახეთ ოჯახი, რომელიც გამორჩეულია და რომელიც ბევრს ეიმედება. ანზორ ფოცხორაიას ოჯახი სოფლის იმედი და დასაყრდენია, მისი შვილი ახალგაზრდა ხელმძღვანელი სოფლის მოსახლეობის მხარდაჭერითა და თანადგომით შეძლებს სოფელი ახალ რელსებზე გადაიყვანოს და მათთან ერთად მრავალი სიხარული განიცადოს, წარმატებებს მიაღწიოს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა ნდობა და იმედი გაამართლოს.

გულახდილად უნდა ვთქვათ, როცა უკან ვბრუნდებით, ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა, ედიშერ ფოცხორაიას და დანტეს ჭანტურიასთან საუბარი ნასიამოვნო და საინტერესო იყო. თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა ისწავლოს საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა, ჩვენი ქვეყანა, სოფელი, თემი ჩვენვე უნდა ავაშენოთ, რადგან ირგვლივ უამრავი საქმეა გასაკეთებელი... და, როცა ყველა თავის საქმეს ღირსეულად შეასრულებს, შედეგი არ დააყოვნებს.

იმედინად ვტოვებთ სოფელს, ოჯახს და გზად მომავალი ვფიქრობ, დაე, ყოველი ჩვენთაგანი იყოს მსახური საკუთარი სულისა, საკუთარი ცხოვრებისა და საკუთარი ქვეყნისა, სწორედ მაშინ ვისწავლით მდიდარი სულიერი ცხოვრებით ცხოვრებას. სწორედ მაშინ გვეყოლება ვითარცა ანზორ ფოცხორაიას ოჯახი, სინდის-ნამუშაოთა შემოსილი, შრომით გამდიდრებული და ქვეყნით გაღამაზებული ოჯახები.

ოჯახი, როგორც ჩვენი წინაპრები იტყვოდნენ, „პატარა სახელმწიფოა“ და მას ღირსეული მართვა სჭირდება. სამწუხაროდ, ეს ყველას არ შეუძლია... ამიტომ არის გამორჩეული ჩვენი რესპოდენტი და მისი ოჯახი.

უფალმა გვიმრავლოს ასეთ ოჯახთა რიცხვი და გააძლიეროს.

მერი ლაგვილაკა.

სეული, მშრომელი და გამორჩეული ადამიანების საუფლო. სადაც ძირითადად განვითარებულია კერძო მეცხოველეობა და მესიმინდობა, ჰექტარობით ფართობზე გაშენებულია თხილის კულტურა.

-ჩვენთან განსაკუთრებული, სხვათაგან გამორჩეული (მოხუცდავად იმისა, მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი გონა ქაჯაია ჩვენი სოფლის მკვიდრია), არაფერი კეთდება, - მიყვება ბატონი ედიშერი. სოფელში ფუნქციონირებს 2 საჯარო სკოლა (დირექტორები მაია შუშინია, იზოლდა გოგოლაძე), 2 საბავ-



შო ბაღი (მთავარი სპეციალისტები: შორენა თურქია, მირანდა ნანიშვილი) კულტურის სახლი (ქეთინო კაკაშვილი), საექიმო ამბულატორია (ექიმო გული ქაჯაია). მოქმედებს პოლიციის ქვეგანყოფილება (უზნის რწმუნებული გიორგი ტყეშუჩავა).

წლეუანდელი წელიწადი ფეხბედნიერი გამოდგა ჩემი თანასოფლელებისთვის. ჩვენი სპორტსკოლის მოსწავლე ჯონი ხეცურაიანი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სლოვაკეთიდან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით დაგვიბრუნდა. მის მწვრთნელთან ალმასხან ხუნჯუასა და ზვიად ჭითაშვილთან ერთად გაიხარა მთელმა სოფელმა. თუმც დასანანია, რომ მათ აქ ელემენტარული სავარჯიშო ინვენტარი არა აქვთ.

როგორც მუნიციპალიტეტის ყვე-

თქვენც აღნიშნეთ, რომ ჩვენი სოფელი დიდია, შესაბამისად პრობლემებიც მეტია, რის გადაწყვეტასაც უდაოდ მეტი ძალისხმევა სჭირდება. ეზრუნავთ ახალგაზრდობის ინტერესების გადასაწყვეტად, ჩამოყალიბებულია ცეკვის ანსამბლი (მასწავლებელი კახა ჩიტაია) კულტურის სახლის ხელმძღვანელი ცდილობს მათ გართობა-დასვენებაზე.

წლის ბოლოსკენ ვგეგმავთ ჩვენი სოფლის სასახელო შვილის, ეროვნული მოძრაობისთვის სიცოცხლეშენიერი გმირის თენგიზ ქაჯაიას ხსოვნის საღამო ჩაკატაროთ, - მეუბნება ბატონი ედიშერი.

დანტეს ჭანტურიასთან ერთად გავიხსენეთ სახელოვანი ადამიანები: ავთანდილ ხუნჯუა, ინდიკო შამათავა, ცილა პერტაია, მარგო ჩიქოვანი, იპოლიტე ნანიშვილი, ნოე ჭანტურია, იპოლიტე ქაჯაია, ჟორჟი და ლამარა თუთბერიძეები, სევერიან სერგია, ჯემალ შამათავა, ვალერიან შამათავა, ალიოშა და ტენი სერგეები, ეთერ ჯობავა, ქსენია კევალიშვილი, ილუშა ფოცხორაია და მრავალი სხვა. რომელთა მხრებზე წლობით იდგა ეს სოფელი და რომელთა „ნაფეხურები“ დღესაც ატყვია დამზრად მიწას... განა შეიძლება საჯიჯაოში ჩახვიდე და სამადლობელი არ უთხრა ბატონ ჟორჟი ბუკიას, რომელიც წლობით თავკაცობდა სოფლის კოლმეურნეობას...

ახალგაზრდა ედიშერ ფოცხორაიას ალბათ, არც ახსოვს ზოგიერთი

P.S. გაზეთ „სობის მოამბეს“ რედაქცია სთხოვს მკითხველს: მოგვწერონ თავიანთი მეზობლების, მეგობრების ოჯახებზე, მოვეფეროთ და მივბაძოთ მათ, რათა ძლიერები ვიყოთ და როგორც სულმნათი ნოდარ დუმბაძე იტყვოდა: „ერთმანეთს ხელი შევაშველოთ.“

# ახალი კადრი



**ორიოდე სიტყვით მოგვიყვით თქვენს შესახებ...**

—1977 წლის 16 ივნისს ქ. ფოთში დაიბადე. 1983 წელს ჩავირიცხე და 1994 წელს ქალაქ სობის №1 საშუალო სკოლა დავამთავრე. 1994-1999 წლებში ფოთის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში ვსწავლობდი. პროფესიით ვარ იურისტი (სამართალმცოდნე). 2006-2011 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანო-ქალაქ სობის საგანმანათლებლო რესურსცენტრში უფროს სპეციალისტად (იურისტი) ვმუშაობდი. 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე

**ადგილობრივ არჩევნების შემდეგ მუნიციპალიტეტში საკადრო „წმენდა“ ჩატარდა, ახალი გუნდი ახლებურ მუშაობას შეუდგა, ძველი კადრები ახლით შეიცვალა.**

**მინდა წარმოგიდგინოთ ახალდანიშნული ქალაქის რწმუნებული, პროფესიით იურისტი, მეტნაკლებად ხობელებისთვის ნაცნობი პიროვნება, იური(იკა) ჯობავა.**

—მოგახსენებთ, რომ ადმინისტრაციული ერთეული მუნიციპალიტეტში შექმნილია მართვის ოპტიმიზაციის მიზნით და წარმოადგენს დასახლებას (სოფელს). გამგებლის წარმომადგენლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციები და მოვალეობები განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებით და მდგომარეობს შემდეგში:

**უზრუნველყოს ადმინისტრაციულ**

**ულად ვემსახურო ქალაქს.**  
**რა უფრო მნიშვნელოვანია, თავისუფლება თუ უსაფრთხოება?**  
—დედალური იქნება უსაფრთხოებით გარანტირებული თავისუფლება.

**რა არის ღირსება?**

—ღირსება ჩემი აზრით, ეს არის უფლის მიერ ბოძებული თვისება, რომელიც დაბადებიდან ადამიანშია, მაგრამ სამწუხაროდ, ზოგიერთ ადამიანში ნაკლებადაა განვითარებული ან საერთოდ ჩაკლულია. ღირსება არასდროს არ უნდა გაისვაროს სიცრუით, ღალატით, ორპირობით, სიძულვილით. ღირსება ყველა ადამიანში ყოველთვის მაღლა უნდა დადგეს ყველა ქვედა გრძობებზე.

**რა გაღელვებთ?**

—ბევრი რამე მაღელვებს, საქართველოს მთლიანობა, სოციალურად დაუცველი ადამიანების სიდუხჭირე, უკრაინაში მიმდინარე მოვლენები და ა.შ. ასევე ძალიან მაღელვებს ის, რომ თანამედროვე ცხოვრებაში წიგნი კომპიუტერმა ჩაანაცვლა და მთლიანად იპყრობს ახალგაზრდების გონებას. და ის, რომ ჩვენ ცხოვრებაში ძალიან დიდი დონით შემოვიდა სოციალური ქსელები და ინტერნეტი, რაც ჩემი აზრით, ადამიანებს შორის გაუცხოებას უწყობს ხელს.

**რა გიზარიათ?**

—მე, როგორც ყველა რიგით ადამიანს, მიზარია ჩემს ოჯახთან, მეგობრებთან და ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობა, მიზარია როცა ვხედავ სიკეთის, თანადგომის და მეგობრობის მაგალითებს. დიდი სურვილი მაქვს ძალიან ბევრი ადამიანი დადიოდეს გაზარებული.

**რას ნანობთ?**

—ძალიან ვნანობ, რომ დღემდე არ ვიცი ქართულის ცეკვა.

**რა მოწონთ ჩვენს გაზეთში და არ მოწონთ?**

—მოწონს ის, რომ თქვენს გაზეთში შექმნილია ხობის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და ჩატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები. მიმდინარე და მოსალოდნელი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ. მოსახლეობას ინფორმაცია მიეწოდება. არ მოწონებაზე ვერაფერს გეტყვით, უფრო სურვილი მექნება, რომ მეტი პერიოდულობით გამოიცემოდეს თქვენი გაზეთი, მეტი ღირსეული ხობელის წარმოჩენა მოხდეს ფართო საზოგადოებისთვის და ბევრი პოზიტიური ამბები გქონდეთ გასაშუქებლად.

**ესაუბრა ნინო ბერბაია.**

**„ღირსება არასდროს სიძულვილით არ უნდა უჩიხვანოს...“**

**ერთეულის მოსახლეობის კავშირი გამგეობასთან.**

აკონტროლოს და გამგებელს წარუდგინოს ინფორმაცია შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში საკრებულოს და გამგებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

გამგებელს წარუდგინოს წინადადებები ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის შესახებ.

უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისთვის გაცნობა.

ორგანიზება გაუწიოს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გამოკითხვის და სახალხო განხილვების ჩატარება.

აკონტროლოს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების და ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობა.

თვალყურს ადევნოს ადმინისტრაციულ ერთეულის ტერიტორიაზე ბუნების, კულტურისა და ისტორიული ძეგლების მდგომარეობას.

მოქალაქეებზე გასცემს საქონლის ადგილწარმოების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ცნობებს. აი ეს არის ის არასრული ჩამონათვალი იმ ფუნქციის-მოვალეობისა, რაც ევალება გამგებლის წარმომადგენელს ადმინისტრაციულ ერთეულში. ამ ყველა ფუნქციიდან გამომდინარე, მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ქალაქ სობის თითოეული მცხოვრების პრობლემა არ დარჩეს რეაგირების გარეშე და მისი აღმოფხვრა მოხდეს არსებული რესურსების გათვალისწინებით. მაქსიმალურად ბევრი პროექტი განხორციელდეს ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. პირნათლად და ღირსე-

# მუსიკა კაცობრიობის საუკეთესო ენაა



მუსიკა, ხელოვნების ის სფეროა, რომელსაც ადამიანისთვის სიამოვნების მინიჭება შეუძლია. მუსიკის გარეშე ცხოვრება შეცდომა იქნებოდა. „მუსიკა სამყაროს აძლევს სულს, გონებას ფრთებს, შენს ფანტაზიას ფრენის საშუალებას, ცხოვრებას კი ყველაფერს.“

ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოზარდებს აქვთ იმის საშუალება, მუსიკის ცოდნას ეზიარონ. მართალია, სამუსიკო სკოლაში სათანადო გარემო არ არის შექმნილი იქ, წლებია, რაც ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია, ესტეტიკურად ცუდი გარემოა, დარბაზს აწვიმს, სველი წერტილები მოუწესრიგებელია, ეზო ითხოვს შემოღობვას. ბავშვებს განსაკუთრებით ზამთარში უჭირთ. ოცდამეერთე საუკუნე და შეშის ფეჩი ცოტა არ იყოს შეუსაბამო მგონია. ეს ყოველივე კი კონტინგენტზე უარყოფითად მოქმედებს. ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე, მათ კეთილი ნება გამოიჩინეს და სწავლის გადსახადი შეამცირეს და 12 ლარამდე დაიყვანეს. იმედია, ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებსაც ადგილობრივი ხელისუფლება გულთან ახლოს მიიტანს და სათანადო რესურსებს გამოიხატავს, რათა ხელი შეუწყოს ახალი თაობის სულიერ აღზრდას.

სამუსიკო სკოლამ ახალი სასწავლო წელი ჩვეული რეჟიმით და ენთუზიაზმით დაიწყო. ხობის განათლების ცენტრის სამუსიკო სკოლას კარგი ისტორია აქვს, თუ გავიხსენებთ ლეო ლეჟავას მოღვაწეობას, რომელმაც შესანიშნავი თაობა აღზარდა. შემდეგ ქალბატონ ნათელა მარგველაშვილის პერიოდს, ჩემს თაობას, ვინც სამუსიკო სკოლაში სწავლობდა, კარგად ახსოვს მკაცრი, ამავდროულად თბილი და მოსიყვარულე, შრომისმოყვარე ქალბატონი, რომელმაც ხობის ის თაობა აჩუქა, რომლებიც დღეს სამუსიკო სკოლაში უკვე პედაგოგები არიან და წარმატებით

უძღვებიან თავიანთ საქმიანობას.

2006 წლიდან დღემდე სამუსიკო სკოლას ხელმძღვანელობს ქალბატონი თამარ ხუნწარია. მუსიკის სიყვარული დედისგან გამოყვა, დედა სენაკის სამუსიკო სკოლის დამსახურებული პედაგოგი გახლდათ, ამან განაპირობა მისი სიყვარული მუსიკისადმი. როგორც თვითონ ჩემთან საუბარში აღნიშნა;—ახალი თაობა ნებისმიერ სფეროში, უშუალოა. მუსიკასთან მიმართებაში ცოტაოდენი გულისტკივილი მაქვს. ძალიან დიდი დატვირთვა აქვს დღეს ერთჯერად ფონოგრამებს და უგემოვნო სიმღერებს. ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა ნამდვილ ხელოვნებას ზურგი აქცია. სამუსიკო სკოლის როლი ის კი არ არის, მოსწავლეებს მხოლოდ ფორტეპიანოზე დაკვრა და ნოტებიდან კითხვა ვასწავლოთ, არამედ ჭეშმარიტ ხელოვნებას ვაზიაროთ და გემოვნებიან მსმენელად ჩამოვაყალიბოთ. ჩემი, და არა მარტო ჩემი, თითოეული პედაგოგის გულისტკივილია კონტინგენტის სიციხე. ჯერ-ჯერობით პირველკლასელი მხოლოდ ორი მოსწავლე გვყავს. საერთო კონტიგენტი კი 60 მოსწავლე შეადგენს, რაც გულდასაწყვეტია. ვისურვებდი, სამუსიკო სკოლას დაუბრუნდეს ძველი ტრადიცია, ახალ თაობას ინტერესი გაუჩნდეს ნამდვილ ჭეშმარიტ ხელოვნებას ეზიაროს, ამისათვის კი მშობლის მხარდაჭერა აუცილებელია, რათა ადვზარდოთ ნამდვილი ჭეშმარიტი მუსიკოსები ან თუნდაც კარგი გემოვნებიანი მსმენელები.

**ნინო ბერბაია.**

**გვხვდები**

**მორცხვა**

**მერი აბრამიას!**

ჩემო უსაყვარლესო, ჩემო ნაცვრის თვალო, გილოცავ 85 წლის იუბილეს საყვარელ ოჯახთან—შვილებთან, შვილიშვილებთან, ბადიშებთან და ყველა შენს მოსიყვარულეებთან ერთად.

გისურვებ ჯანმრთელობას, უბერებელ და მარადიულ სიცოცხლეს.

ბავშვობიდან ერთად გაზრდილთან, სანაქებოსთან სასაუბროს რა დამილევს, მიყვარხარ ნიჭიერო, ერთილმობილო, მშრომელო, ქვეყნისა და ერის მოსიყვარულე ქალღმერთო.

ღმერთმა დაგლოცოს!

**შანი სანია მერი ბერბაია-სხალუხია.**



# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## გამგებლის, მერებისა და საკრებულოს თავმჯდომარეების ტრენინგი



USAID-ის დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G3) პროგრამა 2014 წლის ივლის-ოქტომბერში ახორციელებს პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეულ მერების/გამგებლების, საკრებულოს თავმჯდომარეების, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების, კომისიების თავმჯდომარეებისა და საკრებულოს აპარატის უფროსებისათვის იმ უნარ-

ჩვევების განვითარებას, რაც მათ შემდგომში ეფექტურ მართვაში დაეხმარება. პროექტს კოალიცია „თვითმმართველობისა და დემოკრატიისათვის“ და G3 კონტრაქტორი - სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრი ახორციელებს. ტრენინგი სამ ეტაპად ტარდება. პირველ ეტაპზე ტრენინგი ჩატარდა თბილისში, მერების და გამგებლების მონაწილეობით. მეორე ეტაპზე 16-18 სექტემბერს, ტრენინგში, რომელიც ბაკურიანში ჩატარდა მერებთან და გამგებლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს საკრებულოების თავმჯდომარეებმა, გამგებლების/მერებისა და საკრებულოს თავმჯდომარეების ტრენინგს ბაკურიანში ხობის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობაია და გამგებელი გოჩა ქაჯაია ესწრებოდნენ. მესამე ეტაპზე ტრენინგები ჩატარდება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს, კომისიის თავმჯდომარეებს და საკრებულოს აპარატის უფროსებს. ტრენინგ კურსის გაყვლის შედეგად მონაწილეებმა შეიძინეს საბაზისო პრაქტიკული ცოდნა თვითმმართველობის საკითხებისა და იმ თემების შესახებ, რომლებიც აუცილებელია მათი საქმიანობისა და საჯარო მომსახურების ეფექტურად მიწოდებისათვის, რაზედაც მათ გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები. პროექტი ხორციელდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (MRDI), ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის (CEGSTAR) და G3 წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.

## გლიც-ინტერვიუ



**სახელი-**თემური  
**გვარი-**გულუა  
**ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა -** ხ ო ბ ი ს  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე.  
**თქვენი წარსულის ერთი ლამაზი დღე:**  
-ბევრი ლამაზი დღე მქონდა, კონკრეტულად და გამოჩენილად ერთის გახსენება გამიჭირდება.  
**რას ინატრებდით?**  
-ბევრ რამეს, კონკრეტულად, ალბათ, ჯანმრთელობას.  
**სურვილი, რომელიც ვერ აისრულეთ?**  
-ბევრი ამისრულდა, ბევრი არა ან ვერა, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავს.  
**ყველაზე მეტად რას ისურვებდით?**  
-როგორც ზემოთ ვთქვი, ბევრ რამეს ვისურვებდი პოზიტიურს, ქვეყნის ძლიერებასა და სამართლიან საზოგადოებას.  
**ვის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოგიდგენია?**  
-საყვარელი ადამიანების გარეშე, თუმცა რეალობა ხშირად მკაცრია.  
**თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე?**  
-კრიტიკულ სიტუაციაშიც კი წონასწორობის შენარჩუნების უნარი.  
**თქვენი ყველაზე უცნაური თვისება?**  
-არ ვიცი, სხვას უნდა ჰკითხოთ.  
**რისი გჯერათ?**  
-ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების.

**რასაც არასოდეს გააკეთებ?**  
-ადამიანურობის ზღვარს არასოდეს გავცილდები.  
**ადამიანში ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსება?**  
-სამართლიანობა და კეთილშობილება.  
**ყველაზე მეტად რისი გემინიათ?**  
-ახლოებული ადამიანების დაკარგვის.  
**ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში იყენებ?**  
-საჭიროებისამებრ ნებისმიერ ფრაზას.  
**რა უნდა გახსოვდეთ ამჟვენად ყოველთვის?**  
-უფლის მცნებები.  
**როგორ მოხვდით პოლიტიკაში?**  
-90-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მოვლენებმა დამავალდებულეს ჩემი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოსატყა.  
**ვის არიან თქვენი ოპონენტები?**  
-ჩემი ოპონენტი არის და იქნება ყველა, ვისაც საქართველოს პოლიტიკურ მომავალზე სწორი ორიენტირი არ ექნება.  
**ის, რაც ძალიან გინდათ იცოდეთ?**  
-თუმცა არა ყოველთვის, მაგრამ, ხანდახან რატომ ირღვევა კანონზომიერება.  
**რითი ილამაზებთ ცხოვრებას?**  
პოზიტივზე ფიქრობ.  
**როგორი გინდათ დაგიმახსოვრონ?**  
-„აქაც კარგი კაცი იყო, იქნათელი დაადგესა“.  
**როცა უკან მოიხედავთ რას ხედავთ?**  
-როგორც ყველასთვის, ჩემთვისაც ბევრ სასიამოვნოს და ბევრ გულსატკენს.  
**თქვენი ნება რომ იყოს, რას შეცვლიდით?**  
-საქართველოს გაკავშირებები.  
**რისი თქმაც ადრე გინდოდათ და დღეს ჩვენთან იტყვი?**  
-„საქმემან შენმან გამოგაჩინოს“ მომავალი გვიჩვენებს.

## დასუფთავების მსოფლიო აქცია ხობის მუნიციპალიტეტში



19, 20 და 21 სექტემბერს მთელს მსოფლიოში ჩატარდა დასუფთავების ყოველწლიური საერთაშორისო კამპანია - „დავასუფთაოთ მსოფლიო“ (Clean Up the World), რომელიც 1992 წელს დაფუძნდა გაეროს გარემოს დაცვითი პროგრამის (UNEP) ინიციატივით. კამპანია ჩატარდა „დავასუფთაოთ საქართველო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ პროექტის ფარგლებში. გარემოს გაუმჯობესების მიზნით, კამპანიაში 19 სექტემბერს ჩაერთვნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე ედიშერ ჯობაია, გამგებელი გოჩა ქაჯაია, გამგებლის მოადგილე ვარაზ გაბედავა, საკრებულოს ბიუროს წევრები და აპარატის თანამშრომლები, გამგეობის სამსახურების, ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები და შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ თანამშრომლები და დაასუფთავეს ქალაქისა და ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრის მიმდებარე ტერიტორია, ქუჩები და სკვერები. აქციაში მონაწილეობის მიზანი იყო მოსახლეობამ თავად შეიტანოს გარკვეული წვლილი მნიშვნელოვანი ადგილების დასუფთავებასა და ეკოლოგიურად უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებაში. ხობის მუნიციპალიტეტში პროექტის კოორდინატორია მედეა ქობალია, კამპანია ტარდება ყოველი წლის სექტემბერში და მასში 130-მდე ქვეყანა მონაწილეობს, მისი ღვივია: „ჩვენი ქვეყანა... ჩვენი პლანეტა... ჩვენი პასუხისმგებლობა“ „დავასუფთაოთ მსოფლიო“. პროექტი ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და შედეგითი საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური უზრუნველყოფით. აქცია ხობის მუნიციპალიტეტში არ არის ერთჯერადი ხასიათის, მსგავსი ღონისძიებები მომავალშიც გაგრძელდება.

## პრობლემა ნაშრომის სახეობა



ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების მომიჯნავე ტერიტორიებზე ქართულ-გერმანული ექსპედიცია (სოსუმის უნივერსიტეტი-გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტი) ოთხი წელიწადი აწარმოებს დაზვერვით და არქეოლოგიურ სამუშაოებს. აღნიშნულ ტერიტორიაზე კვლევის პერიოდში დაფიქსირებულ იქნა მრავალი ძველ-კოლხური ნამოსახლარი, რომლებსაც „ლიხაგუბებს“ უწოდებენ. ხოლო სოფელ დღვანის მიმდებარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ „ტაბაკონის“ დინამიკაზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დაფიქსირდა პროტოკოლური ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის კულტურული ფენები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პროტოკოლურ ფენაში აღმოჩენილ იქნა იმ დროინდელი ხის ნაგებობათა ნაშთები.

17 სექტემბერს მასმედიისა და ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებს სოსუმის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ და საქართველოს კულ-

## სიანლა ფარმარებისთვის

1 სექტემბრიდან საქართველოში სახელმწიფო აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა ამოქმედდა, რომელიც 2015 წლის 1 სექტემბრამდე იმუშავებს. აგროდაზღვევა გავრცელდება ყველა პროექტზე და სუბსიდირება 70%-დან 90%-მდე, ზოგ შემთხვევაში კი - 95%-მდე განხორციელდება, იმის მიხედვით, თუ რომელი სახეობის პროდუქტის დაზღვევა ხდება. სადაზღვევო კომპანიები ვალდებულია იღებენ, რომ პროექტში მონაწილე ფერმერს აგროდაზღვევის ხელშეკრულება გაუფორმონ. დამზღვევი ვალდებულია სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის ნაწილი სადაზღვევო პოლისის გაცემისთანავე გადაიხადოს. სადაზღვევო პრემიის დარჩენილი ნაწილის გადახდას პროექტების მართვის სააგენტო უზრუნველყოფს. ზარალის ასანაზღაურებლად ფიზიკური პირისათვის გამოყოფილი იქნება 30 ათასი ლარი, ხოლო



კოოპერატივისათვის 50 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში, დასაზღვევად მხოლოდ ისეთი მიწის ნაკვეთები მიიღება, რომლებზეც წარმოდგენილია საკადასტრო კოდი, აზომვითი ნახაზი ან GPS კოორდინატები. აგროდაზღვევის პროგრამის მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაკავებული პირებისათვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირებაა. პროექტის ბიუჯეტი 5 მილიონი ლარია.

თ ა ო ბ ა



მანდნი საღარაძე აფხაზეთიდან დევნილია. ის 14 წლისაა. ხმის №1 საჯარო სკოლის VIII კლასის მისწავლ. 7 წლის იყო, ბოლოს მძლავრდებოდა დაიწყო ვაჭრობაში. აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში, ბისთვისაც მძლავრდებოდა და სიგურითათაა დაჯილდოებული. აფხაზეთისაგან დიდი სიყვარულის გამო 10 წლის ასაკში მძლავრდებოდა აფხაზეთზე გადავიდა, ხმის ერთერთი ქალთა გუნდში. გასული წლის დროს შიმშილს განიცდიდა, სწრაფად გუნდის მეთაური მჭრეტელის ლევან ლაფაჩიას სიმბათიში დაიხსნა და მჭრეტელმა მასთან გადასვლა შესთავაზა... მანდნი უმალ აქტიურად ჩაება აფხაზეთის თამაშში, ის მთლიანად სრულიად სხვა სამყაროს იკვთვინა, მისი სიყვარული აფხაზეთისადმი უსაზღვრდა. იმედი აქვს, რომ აფხაზეთისადმი ასეთი დიდი სიყვარული და შიშობა დიდ შიშობებს მიუტანს... ცდილობს დროდადრო გააუმჯობესოს თამაში, სურს, ამ სფეროში გზა გაიკვლიოს და წარმატებული აფხაზეთელი ქალი გახდეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საღარაძეების ოჯახში მხოლოდ მანდნი აბამდობრევა სპორტისადმი დიდი სიყვარულით, მისი უფროსი და სალმე თბილისის ბაგნის ქალთა ერთერთ ნაკრებში თამაშობს, უმცროსი მამა იბაკლი ჭიჭიშვილი აბის დაჯილდოებული...

### გზა დიდი წარმატებისკენ!

**მანდნი, რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?**

–სპორტის ეს სახეობა მეორე კლასიდან მიტაცებდა. ვფიქრობ, სპორტის ყველა სახეობიდან ფეხბურთი განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა. ნამდვილად აზარტული სპორტია, რომელსაც დაპყრობილი ყავს მთელი მსოფლიო.

**როგორ შეაფასებდით თქვენს თამაშებს?**

–პროფესიონალი მოთამაშე არ ვახლავარ, მაგრამ ჩემი ასაკიდან გამომდინარე, მთლიანად ნორმალურად ვთამაშობ, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მწვერთელი ბატონი ლევან ლაფაჩია ასე თვლის.

**გახსოვთ პირველი გოლის გატანა და ემოციები?**

–ჩემი პოზიციიდან გამომდინარე, „მარცხენა მცველი“ ვარ და გოლი არ გამიტანია, მაგრამ მახსოვს პირველი თამაში საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან 0:0 რომ დასრულდა. ეს ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, მთელი გუნდისთვის პროგრესი გახლდათ. მთელი გუნდი სიამოვნებას გრძობდა ვიყავით ვფაშკვალით. ძალიან ტკბილად გასახსენებელი დღეა.

**რამდენად რთულია გოგონასთვის ფეხბურთის თამაში?**

–მოგესხენებათ, სპორტი ძალიან რთულია... ეს ის მომენტი, როდესაც ნებისმიერ მომენტში და სიტუაციაში მზად უნდა იყო ყველა დაბრკოლებისა თუ ბარიერის გადასალახად... ალბათ დამეთანხმებით იმაში, რომ ფეხბურთი რთული და სააზროვნო სპორტია, თუმცა როგორც ვითხარით, სანახაობრივად ყველაზე ლამაზი.

**როდესაც მოედანზე გადიხართ, ბოლომდე აკლენთ თქვენს შესაძლებლობებს?**

–ჩემი აზრით, მოედანზე ბოლომდე თუ არ დიხარავ და თუ არ გამოავლინე შენი შესაძლებლობები, თუ არ გამოავლინე შენი სულიერი „მე“ და თუ არ განაწყვე საკუთარი თავი ბრძოლის და თავდადების სურვილით, მაშინ რთულია ილაპარაკო საერთოდ სპორტზე, რადგანაც ნებისმიერი სპორტსმენის სისხლში და მათ შორის ჩემშიც, დღეს ბრძოლის, თავდადებისა და რწმენის იმედი.

**აპირებთ ბოლომდე გავევთ ფეხბურთს?**

–ჯერ ვერაფერს ვეტყვი... შესაძლოა გავგრძელო, მაგრამ არის რაღაც-რაღაცეები, რაც ძალიან მიტაცებს... ვნახოთ...

**გახსოვთ თამაშები თუ გაქვთ?**

–სულ რაღაც 14 წლის ვარ... ჩემი ასაკის გოგონები სპორტისთვის ძალიან ახალგაზრდად ითვლებიან... ჯერ ისეთი ტურნირი არ ჩატარებულა, სადაც ჩემი ასაკის გოგონებისთვის ფეხბურთის თამაში ნებადართული იქნებოდა... მაგრამ იმედი მაქვს, დადგება ის დღე, როდესაც ჩემი სამშობლოს სახელით გამოვალ და მის ღირსებას დავიცავ.

**რაზე ოცნებობთ?**

–ვოცნებობ წარმატებული სპორტსმენი ვიყო, ვახსოვს ჯერ სამშობლო, მერე ჩემი ქალაქი და ბოლოს საკუთარი თავი. იმედი მაქვს, ღვთის წყალობით ყველაფერი კარგად იქნება!

**წარმატებებს ვისურვებთ!**

–თქვენც ასევე!  
ესაუბრა ნანა კიმულარია.

## „ვხატავ იმას, რაც შემოძლია და მინდა...“



ჩვენი რესპოდენტი ხობის მუნიციპალიტეტის მკვიდრი ია კანკია. ია სამხატვრო აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტია. აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა გამოფენებში თუ ღონისძიებებში.

რატომ გადაწყვიტა ხატვა არახსოვს, საამისოდ ძალიან პატარა იყო, სულ რაღაც 5 წლის. კარგად ახსოვს, რომ ყოველთვის დიდი მონდობითა და სიყვარულით ხატავდა და რომ თავის ნახატებს ბებო სათუთად ინახავდა.

ია ის ახალგაზრდა შემოქმედია, რომელიც ახლა იწყებს პირველი ნახატების გადადგმას. ნიჭიერი და შრომისმოყვარეა. ცდილობს, ცხოვრებაში ბევრს მიღწიოს და ამისთვის ძალ-ღონეს არ იშურებს. მისთვის ხატვა ის აუცილებელი რამ არის, რითაც სულდგმულობს.

პირველი გამოფენა იას ადრეულ ასაკში ზუგდიდში ქონდა, სადაც წარმოდგენილი იყო მისი რამდენიმე ნახატი...

მამ ასე, გაგაცნობთ კიდევ ერთ ნიჭიერ ახალგაზრდას:

**ია, როდის მიხვდით პირველად, რომ მხატვრობა თქვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა? თუ გახსოვთ პირველად რა დახატეთ და საერთოდ, ხატვისადმი ნიჭი ვისგან გამოგვყავთ?**

–ბაბუაჩემი იანი უვანია (დედაჩემის მამა) იყო მხატვარი, ვის სახლშიც მე ვავიზარდებ (დედულეთში ვიზრდებოდი). დედაჩემიც შესანიშნავად ხატავს და მათგან გამომეცა ეს ნიჭი. პატარა რომ ვიყავი, ბაბუაჩემის სახელოსნოში ვთამაშობდი ხოლმე, თითქოს მეც ვხატავდი რაღაცას. ბებია კი ჩემს უმნიშვნელო ნახატსაც აგროვებდა და სათუთად ინახავდა. ბებო მამხსენებდა და მამძლევდა რწმენას, რომ მე ხატვას შეგძლებოდა. გეტყვით იმასაც, რომ ბებია და ბაბუას დამსახურებაა, რომ დღეს ფერწერის ვსწავლობ.

**რა ჰქვია იმ სტილს, რომელსაც თქვენ ხატავთ?**

–სტილი არ მაქვს, ვხატავ იმას, რაც შემოძლია და მინდა.

**თქვენს ნამუშევრებზე გვიამბეთ ცოტა, როდის და სად გქონიათ გამოფენები? იყიდება თქვენი ნამუშევრები?**

–ჯგუფური გამოფენები პერიოდულად გვაქვს. გამოფენები გვქონდა ზუგდიდ-



სა და თბილისში, ახლანან კი დრეზდენში. უახლოეს ხანებში, სავარაუდოდ, ოქტომბრის თვეში, გამოფენა მოეწყობა ზუგდიდის სამხატვრო გალერეაში... დიახ, როგორ არა, იყიდება ჩემი ნახატები, დაახლოებით 15 ნახატია გაყიდული.

**დიდ დროს უთმობთ ხატვას? ვინ არის თქვენი საყვარელი მხატვარი?**

–დროის უმეტეს ნაწილს ხატვაში ვატარებ. მიჭირს გამოვარჩიო რომელიმე მხატვარი, მაგრამ მაინც ოსკარ კოკოშკას, ვან გოგს და მილეს გამოვყოფდი.

**სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით, რაზე ოცნებობთ?**

–ვოცნებობ მოგზაურობაზე.

**წარმატებებს ვისურვებთ, ია!**  
ესაუბრა ნანა კიმულარია.



## ბადრიჯანი – „მუდმივი ახალგაზრდობის ნაყოფი“

არაბები ტყუილად როდი უწოდებდნენ ბადრიჯანს „მუდმივი ახალგაზრდობის ნაყოფს“. ამაში მართლაც არის ჭეშმარიტების წილი. ბადრიჯანის რბილობი გაჯერებულია ნივთიერებებით, რომლებიც კოლაგენის გამოქმუშავებას უწყობს ხელს. კოლაგენის წყალობით კი, მოგესხენებათ, კანი დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს ელასტიკურობას და სინორჩეს.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირებას, აფერხებს ათეროსკლეროზული პროცესების განვითარებას, ხელს უწყობს თირკმელების მუშაობას, ასუფთავებს ნაწლავებს და სანაღვლე გზებს. დიეტოლოგები ბადრიჯანით სისტემატურად კვებენ ურჩეველ მათ, ვინც მიღრეკილია გულისა და სისხლძარღვების პათოლოგიებისადმი, რადგან ბადრიჯანს ორგანიზმიდან გამოაქვს ე.წ. ცუდი ქოლესტერინი, ხოლო მასში შემავალი მინერალების, კერძოდ, კალიუმისა და ნატრიუმის მარილების წყალობით გულის მუშაობა უმჯობესდება.

საკვებ რაციონში ბადრიჯანის სისტემატურად ჩართვის შემთხვევაში ღვიძლის ფუნქციაც ნორმალდება. სპილენძის, რკინის, კობალტისა და მანგანუმის წყალობით ორგანიზმში უმჯობესდება სისხლის წარმოქმნა. ბადრიჯანი დადებით გავლენას ახდენს ელენთისა და ძვლის ტვინის ფუნ-

ქციებზე. აქედან გამომდინარე, ანემიით დაავადებულითათვის მეთად სასარგებლოა. ის ხელს უწყობს ერთროციტების (სისხლის წითელი ბუთულების) წარმოქმნას და ნორმაში მოყვას ჰემოგლობინის დონე. დაბალი კალორიულობის გამო ბადრიჯანი თამამად შეიძლება მიირთვან ჭარბი წონის მქონეებმაც. ის საუკეთესოდ ანაყრებს, თანაც აუმჯობესებს ნაწლავების ფუნქციას. მას აქვს სუსტი, მაგრამ ეფექტური შარდმდენი მოქმედება, ამიტომაც სასარგებლოა თირკმლის ქრონიკული პათოლოგიით დაავადებულთათვის.

ბადრიჯანის წვენი აქვს მკვეთრად გამოხატული ანტივიტაბიკური და ანტიბაქტერიული მოქმედება, ეფექტურად ებრძვის ინფექციებს. ხალხურ მედიცინაში ბადრიჯანს ოდითგან იყენებენ ჭრილობებისა და წყლულების მოსაშუშებლად, აგრეთვე პოდაგრის სამკურნალოდ, რადგან ხელს უშლის შარდმკვას დაგროვებას სისხლსა და

მთლიანად ორგანიზმში. ბადრიჯანი რეკომენდებულია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვისაც – აქვეითებს შაქრის დონეს სისხლში. მას, ვისაც ბადრიჯანი უყვარს, სისხლძარღვთა კედლებზე ათერომული ფოლაქების განვითარება არ ემუქრება, უკვე არსებული დაზიანებანი კი უქრება. ბადრიჯანს ორგანიზმიდან გამოაქვს ჭარბი სითხე და ხსნის შემუშავებს, დადებით გავლენას ახდენს თირკმელებზე შარდკენჭოვანი დაავადებისას.

მწველებს ბადრიჯანი თამბაქოს მიტოვებას უადვილებს –საქმე ის გახლავთ, რომ ბადრიჯანი შეიცავს ნიკოტინის მჟავას, რომელიც ეხმარება მწველს დისკომფორტის გადალახვაში. ბადრიჯანის გამხმარი ქერქისგან მიღებული ფხვნილით ჰიპერტონიას მკურნალობენ: ყავის საფუკავში ფუკვენ და ჭამის წინ თითო ჩაის კოვზს მიირთმევენ. ამვე ფხვნილისაგან მზად-

# კვირის დასასრული გოდარკი რომელი 60 წლის განსახლება...

„ცას ვარსკვლავებით იცი რა აწერია? მე მოვლილი დასაბამიდან და ჩემი სული ყვავილივით მოქონდა შენთვის.“

\*\*\*

„ამქვეყნად მწერალზე ადრე არავინ ჰქონდა, თუ მას არ უსმენენ. მეც მინდა ისეთი მწერალი ვიყო, თუნდაც ერთ ადამიანს მაინც არ დავუტყენ საქართველოში.“

\*\*\*

„დედამიწა არის მზითა და მოვარით განათებული დიდი წიგნი, სადაც უამრავი ცოცხალი მოთხრობა დიდის.“

\*\*\*

„სიკვდილი ისევე ალამაზებს სიცოცხლეს, როგორც მზე და მოვარე ალამაზებს წყვილად.“

\*\*\*

„სანთელი შალის გულზე არ აინთება და კაცი კიდევ ძაღლის გულით ვერ იკაცებს...“

\*\*\*

„სიკვდილისა გეშინია? —რატო მუშინია?! —რატომ არა? —მიტომა რომა, სიკვდილი ვალია, უნდა მოიხადოს კაცმა თავისი ვალი.“

\*\*\*

„ქალის სიყვარული დასაწყისია იმ დიდი სიყვარულისა, რასაც მარადიული სიცოცხლე ჰქვია.“

\*\*\*

„ეეჰ, დედამიწა! გაგისკვებოდა გული, რომ იცოდე, რა სევდას მგვრის, როცა შენს ბეჭებზე შავად ჩაცმულ ქართველ ქალს ვხედავ.“

\*\*\*

## გოდარკი რომელი

შენ, ჩემად წახვედი ცის საუფლოში, უსაშველობის ტიკვილებით გარემოსილი და ქარებს სული შეამსხვრე ვითარცა ტყემლის თეთრსახება უხმო ყვავილმა. გაზაფხულები დაიჩემე, ვარდობისთვეები გაივარდირე და უმანკო ბატკნის სიწრფელებში დაიდებინა.

ჩემო ცამალლო მეგობარო, გულთამზეობით სხვათა გამთობოკალმოსანო, სიტყვის მეუფე, მოგვინატრე, „ლუკას სახარებაში“ ასხივებული შენი ნათებები ვარსკვლავებად ბრწყინავენ უფლის ნაგრილიდან და გვანარებენ.

შენთან საუბარს ვიხსენებ, ჩემოქმით გაბრძნებულ სენტენციებს, „ყვავილთა შავობას“, „იმედოთა გვალვას“ და ვწუხვარ უშენობას, ბორბალოს მთაზე კესანე-გვირილები ხუსხუსებენ და გეძებენ, იქნებ ამოვიდეს, მისებურად მითიური რწმენითობა დაარისხოს და აუწყოს ნისლძლეულა


მთებს-ჩვენ სიყვარულები ვართ. მშვენიერებასთან გამიჯნურებული ღვთაებები. სიმღერაც შეგვიძლია და ცაში აფრენაც, აბა ცასწავლა ღობემძვრალა ჩიტი კი არ იყო, ფრთები მოისხა და ეწია აღ-

ემშაკს სიმღერა რომ წაგვარა და ქვეყანას დაუსაკურა.

აბა მოუსმინე, ძმისავ, —ეს ჩვენ ვმღერით ასე ტკბილმზიანად. თაფლს ჩავადებთ ხოლმე ხმაში და მივალთ სასრულის ზეობისაკენ, სადაც ბედი-

ესაუბრებოდი, მერმის განვენდებოდი და გვიწერდი საოცრებებს, აკინოვებდი არნახულ ეტიუდებს, მონოლოგებს, პეიზაჟებს, პორტრეტებს და ენით აღუწერელ რამეებს ქმნიდი...

ყველას უყვარდი და ყველას სწამდი, ყველას ეიმედებოდი და ანგელოზად ესახებოდი. კაიდა, წახველ, ჰაიდა, უწიე საწუთროს, უფალი წინ გაგვყა შენი სპეტაკი სულის მე-



სავალს, მიწიერ სასიკვდილეთს გაეცა ლექსადქვეული.

„მე, ბატონო, უბატონო ქვეყანაში ვცხოვრობ და ქარებს ჩემს გემოზე ვხედავ. ეს „ბატონი“ კი უფლის კვლავ-შეგრძნების მეტაფორაა გულის წიაღიდან ამოღებული“ — ამბობს შენი თავქარისა გმირი აპარეკა.

„დარდებს კი არა, უფლის სიტყვებს ვაგროვებ, გულისავ, ნახატქარავმთან სიტყვებსა, ანგელოზის მოსახსნამით რომ გასპეტაკებულან“ — ეს კიდევ დარდისკაც ღვთისოს ბუბუნია,

სა მახარობელი თავის ძირფევისას წაიღიღინებს:

„აკა სირექიშო, ალმასირექიშო, ორდე ლეხინი, ვამადირექიშო, დიდოვ, დედა, მებღინაო ჩქიმი ცოდა.“

ეს სიმღერა ძალუმაღ გიყვარდა, დახატული პორტრეტივით გაქვავდებოდი და მხოლოდ თვალთა შუქით ამტკიცებდი ამქვეყნიურობას. ვინ იცის რამდენჯერ გარდაცვილიხარ, რამდენჯერ გაპარვიხარ ჩვენეულ სიცოცხლეს. იქ, სასულკაცეთში ბერდებობს

კუნხურად... ნათელი დაგადგეს, ძმისავ, სიყვარულის ნათელი, იმ სიყვარულისა, რომელსაც 60 წელი ინაგრებდი...

ღიას, 60 წლისა გაგვიხდი და დადუმდი, მიუხედავად ხორციელად არ ყოფნისა, იმ შენი დარდების გულდურით სიყვარულს აგროვებ და აგროვებ!

უფალო მოგვეც ძალი გოდარკის ბოლომდე შეცნობისა...

შენ ჩემად წახველ და ჩემად ჩაათავე საწუთრო ესე, ჩემო მარადსევდიანო და ცასწავალო ძმისავ!

მარადიული მონატრებით ლაშა შვასალია.



გვეხარ. დგახარ ჩემს ფანჯარასთან და მელოდები. სახეზე გათოვს. შენ ზეცაში იყურები და გეჩვენება, რომ ძაღლები, ზემოთ მიფრინავ. ეს მასწავლებელმა გვასწავლა პირველ კლასში. შემოდგომაზე რომ მოვიდა თოვლი, კლასიდან გარეთ გამოგვიყვანა და და-

და რატომ უნდა, ის მასწავლებელი აღარ გვასწავლის.

იცი რა მახსოვს? ერთხელ დავალება მოგვცა: წიგნიდან ლამაზად უნდა გადაგვეწერა მოთხრობა. მე მთელი ღამე ვწერდი. დილით რომ გავიღვიძე, ჩემს ბიძაშვილს, ჩვენზე ერთი წლით წინ რომ სწავლობდა იმას, გამურული ტაფა დაეღა ჩემს ნაწერზე. მეტი რა გზა მქონდა, ის

შინა კიდევ; სიმარტოვისა მეშინია. დილით რომ ვიღვიძებ, საშინელი სევდა მომყვება ხოლმე სიზმარული ქვეყნიდან. ყოველღამე სიზმარში გხედავ, ისეთს როგორც იყავი.

შენ არ იცი რატომ გავაცდინე მაშინ სკოლა. თავი რომ მქონდა გატეხილი, იმას გეუბნები. იქნებ არც უნდა გითხრა, მაგრამ იმიტომ

ტეხა, შენ ჭინჭრებში ჩავარდი. მოვედი, ავიყვანე. კანკალბი. მე უბეში ჩავიხვი, რომ გამთბარიყავი. თან ვტიროდი, ისე ვტიროდი, გულს ვივადებინებდი. მეგონა თუ ასე ვიტირებდი, არ მოკვდებოდი...

დედაჩემმა შეშინებულმა გამოძლივიდა-ეტყობა ცხადად ვტიროდი.

ბავშვობა მაინც სხვანაირი იყო. ალბათ იმიტომ, რომ იქ შენ იყავი. ბავშვები სუფთა იბადებიან, ადამიანებს მერე გვემღვრება სული. ხოლო სამყარო არ დაბადებულა ერთხელ და სამუდამოდ, იგი მარადიულად იბადება. ყველაფერი მიიქცევა და კვლავ მოიქცევა.

მე რატომღაც მგონია, რომ ისევ მოხვალ.

იცი როგორ გელოდები. როდესმე ისევ წავალთ სკოლაში. პირველი თოვლი, რომ მოვა, მასწავლებელი გარეთ გამოგვიყვანს და ცაში აგვანებებს...

სკოლის უკან ისევ მცემენ მერვე კლასელი ბიჭები და ისევ მოგატყუებ, რომ ხიდან ჩამოგვარდი. ისევ ვნახავ დევს შენი სახლის უკან...

ისევ წავალ ქალაქში სპილოების სანახავად. ოღონდ დამიჯერე. სადაც ხარ და როგორცა ხარ, იქ დამიჯერე, რომ-სამყარო არ დაბადებულა ერთხელ და სამუდამოდ, იგი მარადიულად იბადება...

ოღონდ დამიჯერე, რომ თუ როდისმე კიდევ მოხვალ ამ მიწაზე, უკან გაუხსნელად არ დაგიბრუნებ შენს წერილებს და ამის გამო თავს აღარ მოიკლავ...

ოღონდ დამიჯერე, რომ ეს იმიტომ კი არ გავაკეთე, რომ არ მიყვარდი, პირიქით... მე შენ მიყვარხარ!“

## გოდარკი რომელი

# უმისამართო წერილი

ვაყენა.

თოვლა. მასწავლებელმა ცაში აგვანებდა. სახეზე თოვლის ფიფქები გვეფინებოდა და უცებ ყველას ნეტარების წამოხახილი აღმოგვცხდა-ჩვენ ცაში ავფრინდით! ეს რა თქმა უნდა მოგვეჩვენა. ასე იცის, როცა თოვაში მალდა იყურები. მაგრამ მაშინ ჩვენ ეს არ ვიცოდით და რატომღაც ყველამ დაბლა დავიხედეთ რომ გვენახა, მასწავლებელიც მოფრინავდა, თუ არა. როგორ გვეწყინა, რომ ისევ მიწაზე ვიდექით. მერე ხშირად ვმალდებოდით ხოლმე თოვაში. შენ ჩემს ფანჯარასთან დგეხარ და სახეზე გათოვს, ვიცი რომ ამ წუთში მალდა მიფრინავ და არ გამოვდივარ სახლიდან, არ მინდა მიწაზე დაგცე.

—დაგავიანდა-მუხუნება დედაჩემი. თოვს.

მე ვერ ვებდავ გარეთ გამოსვლას. ახლა ჩვენ შექვეყნა კლასში ვართ

გადათხუნული ნაწერი წამოვიღე. ხელის კანკალით გადავუშალე მასწავლებელს, დარწმუნებულმა, რომ ერთიანს თუ არა, ორიანს ნამდვილად დამიწერდა.

თქვენ ყველანი მე მიყურებდით შემკრთალი თვლებით. მასწავლებელმა ხუთიანი დამიწერა...

თოვს...

შენ უცებ თავს დახრი და ფანჯრისაკენ მოიხედავ. შენ ახლა ისევ მიწაზე ხარ და მე გულადად გამოვდივარ სახლიდან.

თოვს. ჩვენ სკოლაში მივდივართ.

—მე შენ მიყვარხარ. —დამიჯერე რა.

—ვიცი რაღაც დაკარგა ამ სიტყვამ და ალბათ ამიტომ ხარ ასე შორს და არა გჯერა ჩემი. მე კი... მე კი, რაც დრო გადის უფრო მიყვარხარ.

ყველაფერმა აზრი დაკარგა ჩემს ირგვლივ შენს გარეშე. ზოგჯერ მე-

ვამბობ, მაშინ რომ მოგატყუე ხიდან ჩამოგვარდიმეთქი, ტყუილი მინდა დავიბრუნო.

მერვე კლასელმა ბიჭებმა მცემეს სკოლის უკან...

მაგრამ თურმე აღარაფერი ბრუნდება უკან. მე დროში გავილი მოვლენებზე გეუბნები. ის რაც იყო, ერთხელ იყო, განსაზღვრულ დროში და განსაზღვრულ სივრცეში.

მე მაშინ მოგატყუე. სხვასაც რამდენ რამეს გატყუებდი. გეუბნებოდი რომ ქალაქში ვიყავი და იქ სპილოები და აქლემები ვნახემეთქი.

ერთხელ ისიც კი მოგატყუე, რომ შენი სახლის უკან დევი ვნახე დამე-შენ გჯეროდა.

რატომ გატყუებდი, არ ვიცი. ალბათ ვაუკაცად მინდოდა დამე-ნახვებინა ჩემი თავი.

ერთხელ სიზმარში ვნახე, რომ ბელურა იყავი და დაფრინავდი. ვი-ღაცამ ქვა გესროლა და ფრთა მო-

„მე შენ მიყვარხარ! —არა გჯერა?“

—ვიცი რაღაც დაკარგა ამ სიტყვამ მხოლოდ საუკუნეში, თითქოს გაიცვითა და აღარაფერი იჯერებს. ხომ შენც ასე ფიქრობ და ალბათ ამიტომ ხარ ასე შორს და არ გჯერა ჩემი. მე კი... მე კი ისევ იმის თქმა მინდა რომ... მე შენ მიყვარხარ!

ყველაფერმა აზრი დაკარგა ჩემს ირგვლივ შენს გარეშე. ურთიერთობას ვეღარ ვახერხებ ვერც სულიერთან და ვერც უსულოთთან. ისინი მე გამიბრბან. თითქოს დაიცალა მთელი სამყარო და დავბორიალობ უსახო სიცარიელეში. დილით რომ ვიღვიძებ, საშინელი სევდა მომყვება ხოლმე სიზმარული ქვეყნიდან. ყოველ ღამე სიზმარში გხედავ, ისეთს როგორც იყავი. დილა არის.

თოვს.

ფანჯრიდან გხედავ, რომ ჩემი სახლის წინ დგეხარ და მელოდები.

თოვს.

ზეცა ნებივრობს შენს კულულებზე, თეთრი ფანტელებით გეა-ლერსება, სახეზე გათოვს. მე შინიდან გიყურებ და კარგა ხანს გარეთ არ გამოვდივარ. ამ წუთში შენ ზე-ციდან მოფრინდი ანგელოზს

# ს ს ო ბ ი

## ნუბზარ ლემონჯავას სახელობის თასის ბათამაშება



ამასწინათ ქვემო ქვალონში გოგითა ქარჩავას სახელობის სტადიონზე ჩატარდა ხობის „იმედის“ მარტვილის საფეხბურთო სკოლისა და ფოთის „კოლხეთის“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების, ხობის „კოლხეთი-2“-ის ტრავიკულად დალუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში.

ტურნირის გახსნაზე შეჯიბრების მონაწილე გუნდებს და ორგანიზატორებს სიტყვით მიმართეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გონა ქაჯაიამ, გამგებლის მოადგილემ ბატონმა ვარაზ გაბედავამ, საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ტარიელ ალექსანდრიამ, რომლებმაც წუთიერი ღუმლით პატივი მიაგეს ნუ-



ტის ხსოვნას და ყვავილებით შეამკეს მისი საფლავი.

შეჯიბრებაზე ასპარეზობდნენ როგორც უმცროსი ასაკის, ასევე ნუტის მეგობრებისაგან შემდგარი გუნდები.

უმცროსი ასაკში, სადაც მონაწილეობას 2001-2002 წლებში დაბადებული ნორჩი ფეხბურთელები ღებულობდნენ, ორ A და B ჯგუფში გაერთიანდნენ. A ჯგუფში ასპარეზობდნენ ხობის „იმედი“, „ფოთის კოლხეთი“, მარტვილის „საფეხბურთო სკოლა-2“ და სენაკის „ეგრი-სი-2“. B ჯგუფში გამოდიოდნენ ხობის „იმედი-2“, ფოთის „კოლხეთი-2“, მარტვილის საფეხბურთო სკოლა და სენაკის „ეგრი-სი“.

ჯგუფური თამაშები მეტად საინტერესოდ წარიმართა, ნორჩი ფეხბურთელები ყველაფერს აკეთებდნენ წარმატებისთვის, რათა მათი გუნდები ნახევარფინალში გასულიყვნენ.

ნახევარფინალში კი გუნდები ასე დაწყვილდნენ: ფოთის „კოლხეთი“-ფოთის „კოლხეთი-2“ და ხობის „იმედი“-მარტვილის საფეხბურთო სკოლა. პირველ ნახევარფინალურ წყვილში ფოთის კოლხეთმა ადვილად სძლია კოლხეთი-2-ს და ფინალში გავიდა.

მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში ხობის იმედისა და მარტვილის საფეხბურთო სკოლის ფეხბურთელებმა უშეღავათო ბრძოლა გააჩაღეს, თუმცა შემდეგ ხობელებმა შეძლეს უპირატესობის მოპოვება და ფინალში დამსახურებულად გავიდნენ.

უფროსი ასაკის შეჯიბრებაზე 5 გუნდი ხობის „ოლიმპია“, ხობის „კოლხეთი“, ხობის „იმედი“, ნუტის კლასელები და გუნდი „სამეგობრო“ მონაწილეობდნენ. აქაც მეტად საინტერესოდ წარიმართა თამაშები და

ფინალში თამაშის უფლება ხობის იმედისა და ნუტის სამეგობროს გუნდებსა მოიპოვეს.

29 აგვისტოს, ნუტის დაბადების დღეს, ფინალური მატჩები და მეტად საინტერესო შეხვედრა გაიმართა ხობელ მწვრთნელებსა და ჩამოსული გუნდების მწვრთნელებს შორის.

პირველი ფინალური მატჩი უფროსი ასაკის ფეხბურთელთა შორის გაიმართა, ნუტის მეგობრებისგან შემდგარმა გუნდმა დიდი ანგარიშით 7:2 დაამარცხა ხობის „იმედი“ და დამსახურებულად პირველი ადგილი დაიკავა, რომლებიც თასით და პრიზებით დაჯილდოვდნენ. ასევე თასით და სპეციალური პრიზებით ხობის „იმედი“ ფეხბურთელები დაჯილდოვდნენ.

შემდეგ კი გაიმართა შეხვედრა-შოუ მწვრთნელების მონაწილეობით. სტუმარ მწვრთნელთა გუნდის ღირსებას გამოცდილი ვეტერანი ფეხბურთელები ნუგზარ თვარაძე, ზვიად გვასალია (ფოთი), გია მიქაია (სენაკი), ზაზა გორიზია, რეზო ჯიქია, ალიკა კალანდია (მარტვილი) იცავდნენ.

ხობელ მწვრთნელთა ღირსებას ასევე გამოცდილი ვეტერანი ფეხბურთელები ზურაბ ლატარია, რევაზ ქაშიბაძე, გელა ხურცილაძე, ვლადიმერ

ჯამბურია, პატა ხვიჩია, ლევან ხურცილაძე, კობაკობახიძე და ნიკა ვეკუა იცავდნენ. ვეტერანმა ფეხბურთელებმა ტექნიკისა და ტაქტიკის დემონსტრირება აჩვენეს

და მასურებელთა სიმპათიები მოიპოვეს. თამაში, როგორც ყველა სანახაობრივი შეხვედრა, ფრედ 3:3 დასრულდა. მომდევნო შეხვედრა მესამე ადგილისთვის უმცროსი ასაკის ფეხბურთელთა შორის ფოთის კოლხეთი-2-ისა და მარტვილის საფეხბურთო სკოლას შორის, მარტვილითა გამარჯვებით დასრულდა და მესამე ადგილი დაისაკუთრა, მათ მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი გადაეცათ.

ბოლოს კი თამაშმა კულმინაციას მიაღწია. ხობის „იმედი“-ფოთის „კოლხეთი“ ფინალურ მატჩში მრავალმა მასურებელმა მოიყარა თავი და იხილა მეტად საინტერესო შეხვედრა. 4:2 მოიგო ფოთის „კოლხეთი“ და პირველი ტურნირის ღირსეული ჩემპიონი გახდა, რომელიც ნუტის სახელობის თასით, მედლითა და სიგელით დაჯილდოვდა. მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი ერგოთ ხობელ ფეხბურთელებს.

ტურნირზე სხვადასხვა ნომინაციაში დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის: საუკეთესო მეკარე გახდა ნუკრი ქობალია (იმედი); საუკეთესო მცველი-ბანო ჯეჯელავა (საფ. სკოლა მარტვილი); საუკეთესო ნახევარმცველი-ცხარ ჯანელიძე (კოლხეთი ფოთი); საუკეთესო თავდასხმელი-ლუკა საჯაია (იმედი ხობი); საუკეთესო ბომბარდირი-საბა პაკორია (კოლხეთი ფოთი); ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს ირაკლი შონია („იმედი“ ხობი); ტურნირის ყველაზე პატარა მონაწილის პრიზი ერგო ზვიად კობახიას (მარტვილი); მასურებელთა სიმპათია გახდა გიორგი უკანია (კოლხეთი ფოთი); პერსპექტიული ფეხბურთელი-დემეტრე ჭითაშვილი (იმედი ხობი); ტექნიკურ ფეხბურთელად დასახელდა იკა ჯანჯელავა (საფ.

სკოლა მარტვილი); ასევე მასურებელთა სიმპათიად დასახელდა თემურ ჩაჩიბაია (ეგრისი სენაკი); საპატიო სტუმარი ანტიტიდან ნიკოლოზ შავგულაძე, ფინალური მატჩის პირველი გოლის ავტორი გიორგი მირზოევი („იმედი“ ხობი).

დაჯილდოვდნენ მონაწილე გუნდების მთავარი მწვრთნელები: ნუგზარ თვარაძე („კოლხეთი“ ფოთი); ნიკა ვეკუა („იმედი“ ხობი); ზაზა გორიზია (საფ. სკოლა მარტვილი); ზვიად გვასალია (კოლხეთი ფოთი); გია მიქაია (სენაკი).

შეჯიბრება ხობის საფეხბურთო კლუბ კოლხეთის ორგანიზებით ჩატარდა, რომელსაც გვერდში ხობის საფეხბურთო სკოლა დაუდგა.

ნუტის სახელობის თასი და მედალი დააწესა ნუტის ნათლიამ, ხობის კოლხეთის მწვრთნელმა ბატონმა მამუკა გაბრავამ. თასები, სიგელები და პრიზები დააწესეს აგრეთვე მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გონა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ედიშერ ჯობავამ, მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სამსახურმა, ხობის საფეხბურთო კლუბ კოლხეთის დირექციამ (დირექტორია კობახიძე), ხობის საფეხბურთო სკოლის დირექციამ (დირექტორი ზურაბ ლატარია), მარტვილის საფეხბურთო სკოლამ (დირექტორი ჯესი სურმაია), სენაკის ეგრისის ხელმძღვანელებმა (გურამ ჩიქოვაძე, ხვიჩა სანაია). სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციამ (პრეზიდენტი სერგო კვარაცხელია); ნუტის ყოფილმა მწვრთნელებმა და ოჯახის ახლობლებმა.

დაჯილდოვებას უძღვებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გონა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებლის მოადგილეები ვარაზ გაბედავა და მანარე ჩოკორია, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი რევაზ წულაია, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი სერგო კვარაცხელია, ხობის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ სალაყაია, ვიცე პრეზიდენტი ვლადიმერ გერგაია, კოლხეთის დირექტორია კობახიძე, „კოლხეთის“ გუნდის უფროსი ლადო ბუკია. საფეხბურთო სკოლის დირექტორი ზურაბ ლატარია, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი ნანა ბუკია, ვეტერანი ფეხბურთელები და ნუტის და მკოლ მონჯავა.

დაჯილდოვების ბოლოს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა რევაზ წულაიამ ნუტის ოჯახს სპეციალური პრიზი გადასცა, რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრმა ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბატონმა გოდერძი ბუკიამ დააწესა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გონა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, შემდეგ კი წუთიერი ღუმლით პატივი მიაგეს ნუტის ხსოვნას...

ნუტის ოჯახის წევრები ტურნირის მონაწილეებს, ორგანიზატორებსა და იმ პირებს, რომლებმაც პრიზები დააწესეს და კიდევ ერთხელ დააფასეს ნუტის ნათელი სული, მადლობას უხდნენ.

სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბატონმა სერგო კვარაცხელიამ წინადადება წამოაყენა, რომ მომავალ წელს ტურნირი საერთაშორისო გახდეს. იმედია, საფუძველი ამ ტრადიციასაც ჩაყვრება.

ნანა კიმშულარია

## ჩაქაზ კიბიას სახელობის ბურნიკი ღაინყო



25 სექტემბერს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ წარმოებად აწესებულებებს

შორის სტარტი აიღო მუნიციპალიტეტის პირველობამ მინი-ფეხბურთში, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად სოფელ ხურჩაში ტრავიკულად დაღუპული ხობელი პოლიციელის რამაზ კიტაის ხსოვნას ეძღვნება.

შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობს: ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის, პოლიციის სამმართველოს, საფეხბურთო კლუბ კოლხეთის, სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის, საფეხბურთო სკოლის, GPR-ის, ბანკი კონსტანტასა და კრისტალიის გუნდები. ტურნირი ჯგუფური სისტემით ტარდება, თითო ჯგუფიდან ორ-ორი გუნდი ნახევარფინალში გადის, გამარჯვებული გუნდები კი ერთმანათ

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია

ნეთს ფინალში დაუპირისპირდებიან.

ფინალური შეხვედრა 1 ოქტომბერს ახალი ხიბულის თემში, რამაზ კიტაის სახელობის სტადიონზე გაიმართება, სადაც გამარჯვებული გუნდი მისი სახელობის თასს დაეუფლება.

ჩემპიონატი ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა, დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით. გახსნის ცერემონიალს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებელი გონა ქაჯაია და გამგებლის მოადგილე ვარაზ გაბედავა დაესწრნენ.

## ზობელი თეიმურაზ კვიციანიას წარმატება ჭადრაკში



17 სექტემბერს დასრულდა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის-ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. სადაც სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში თავი მოიყარა 260-მდე მოჭადრაკემ მსოფლიოს ათამდე ქვეყნიდან. მონაწილეთა შორის იყვნენ ხობელი მოჭადრაკეებიც.

მიმდინარე წელს კიდევ ერთი წარმატება მიითვალა აქტივში ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე თეიმურაზ კვიციანიამ.

8 წლამდე ჭაბუკთა ასაკობრივ კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონატზე მონაწილე უძლიერესი შემადგენლობა ასპარეზობდა. რეიტინგიანი ირანელი და სომეხი მოჭადრაკის მონაწილეობა დაძაბულობას მატებდა ტურნირის მიმდინარეობას ამ ასაკობრივ კატეგორიაში.

საბოლოო შედეგები ასე გამოიყურება: 1. დანიშვარ ბარდია (ირანი) 9 ქულა. 2. თეიმურაზ კვიციანია (საქართველო, ხობი) 6,5 ქულა. 3. ალექსანდრე ყორანაშვილი (საქართველო, თბილისი) 6 ქულა.

ტურნირის გამარჯვებულებს დიპლომები, მედლები და ფულადი პრიზები გადაეცათ. თეიმურაზ კვიციანია 18 ოქტომბრიდან პირველად მიიღებს მონაწილეობას ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატზე, რომელსაც ქალაქი ბათუმი უმასპინძლებს. თეიმურაზთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ხობელები-დიანა ლომია და ანა კვიციანია.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია

ინფორმაცია

სულთანა

ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამით მოსარგებლეთათვის!

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებისთვის სასურველ პოლიკლინიკასა თუ ამბულატორიაში დარეგისტრირების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს.

უწყების ინფორმაციით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლე ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც თავისი თანხმობით ან თანხმობის გარეშე დარეგისტრირებულია ამა თუ იმ პოლიკლინიკაში, შეუძლია, არასასურველი რეგისტრაციის გაუქმების მიზნით მიმართოს საყოველთაო ჯანდაცვის სერვისცენტრს და დარეგისტრირდეს მის მიერ შერჩეულ პოლიკლინიკასა თუ ამბულატორიაში.

სასურველ პოლიკლინიკაში დარეგისტრირება ხდება სპეციალურად შემუშავებული მკაცრი აღ-

რიცხვის ფორმის შევსების საფუძველზე. რეგისტრაციის შეცვლა შესაძლებელია 2 თვეში ერთხელ. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი პირველად ჯანდაცვის დაწესებულების (პოლიკლინიკის) მიერ დარეგისტრირებულია თავისი თანხმობის გარეშე, მას შეუძლია რეგისტრაცია მყისიერად გააუქმოს და ამისათვის უნდა მიმართოს არა პოლიკლინიკას, არამედ საყოველთაო ჯანდაცვის სერვისცენტრს.

ასევე, კერძო სადაზღვევო კონტრაქტის შეწყვეტისას, იმისათვის, რომ დაზღვეულმა ისარგებლოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ცნობა სადაზღვევო კომპანიიდან უნდა წარადგინოს საყოველთაო ჯანდაცვის სერვისცენტრში, შემთხვევით ჩამოთვლილ ნებისმიერ მისამართზე.

ლამარა კვარაცხელია

ამ დღით ჩემს კოლეგა-მეზობლებს დავეწიე ასე. სხვადასხვა სკოლებში ვმუშაობთ სამივე. მთელი გზა სკოლაზე ვსაუბრობთ. ჯერ იამზე მასწავლებელი ჩაუხვევს თავის სკოლასთან, მერე მზია, მე ვაგრძელებ გზას. დღეს ვერ იყვნენ ხასიათზე. ლამარა მასწავლებელი გარდაიცვალა. ნაბიჯი ვერ გადავდგი, სიტყვები დამავიწყდა. ჩემი ლამარა მასწავლებელი...



თი, არ გამიხილა.

საოცარი ახსნა იცოდა, სულ ვფიქრობდი, სად პოულობს, ნეტავ ასეთ სწორ სიტყვებს-მეთქი. „აბა, ყურადღებით, ახალგაზრდობა-გვეტყვი. ზოგადად, ასე არ მოგვმართავენ, გვარბობენ გვეძახდნენ, სახელი თითქოს არც გვექონია. ჩვენც ვაპროტესტობდით „რაა, მას, ჯარში ვარ!“-ეს პროტესტის სტანდარტული ფორმა იყო, მერე კიდევ უფრო ვუმტებდით ცელქობას. ლამარა არა, ლამარა სხვა იყო. ლამარასთვის ახალგაზრდობი ვიყავით ჯერ ისევე პატარები. მერე კოლეგებიც გახდით და ძალიან უხაროდა. თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი შინ მიმავალს. აუცილებლად გამაჩერებდა, მოიკითხავდა დედას, ძმას. მისაყვედურებდა „ერთ რამეს“... ის მეჩხუბებოდა, მე ვიცინოდი. ტრენინგებზეც მოვხვდით ერთად, რაღაც მისალოცი გამიგზავნიდა, არც მასსოვდა. როგორ გამახსენდებოდა 10 წლის ასაკში დაწერილი. შენახული მაქვს, ჩემი ყველაზე დიდი საჩუქარი. რა დავწერე ასე-

ერთხელ კლასელი დამესწრო გაკვეთილზე. დასვენებაზე შემაქო და ლამარა მასწავლებელს შემაღარა... ჩემზე ბენეფიციარი იმ წუთს არავინ იყო. ლამარა იყო ჩვენთვის კარგი მასწავლებლობის საზომი და ეტალონი. გვიყვარდა ძალიან და ჩემმა კლასელმაც პარალელი მასთან გაავლო. ვუთხარი, რომ შეგხვდი, იცინა ბევრი. თქვენ რა გითხარით, კიდევ გახსოვთ ჩემი გაკვეთილები? მაგას რა დამავიწყებს! რა დამავიწყებს საოცრად, მთელი ეშხით, გზებით, არაჩვეულებრივი ქართული ახსნილი გაკვეთილებს. ასეთი არ ავიწყდებათ! ავად იყო. წამლებით ვარ, რა ყოფილა ეს შაქარი-წუსდა. ამ დღით გავიგე, წასულა ნათელში.

მთელი დღე მისვლა მინდა მასთან და თავს ვიკავებ. ვიცი ავბლავდები და მრცხვენია, არადა, არც ის მინდა, ჩემი ალალი ცრემლი არ ვაკატანო. **მამა ცხადია.**



ემიზი გვირჩევენ ახლან კამოჩაში ცხადება!

აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში (გვინეა, სიერა ლონე, ლიბერია) 2014 წლის ზაფხულიდან დაიწყო და ამჟამად გრძელდება ებოლას ვირუსით გამოწვეული აფეთქება. ებოლას ჰემორაგიული ცხელება ვირუსული ჰემორაგიული ცხელების ჯგუფს მიეკუთვნება. აღნიშნულ ინფექციას იწვევს ვირუსი, რომელიც მიეკუთვნება ფილოვირუსების ოჯახს, ებოლა ვირუსების გვარს. დაავადების შემთხვევები გვხვდება ადამიანებში და პრიმატებში (მაიმუნი).

და ახასიათებს ლეტალობის მაღალი მაჩვენებელი. სიპტომები ინფიცირებიდან 2-დან 21 დღემდე ვითარდება. პაციენტებს ხშირად აქვთ შემდეგი ნიშნები: ცხელება, თავის ტკივილი, კუნთებისა და სახსრების ტკივილი, სისუსტე, დიარეა, პირღებინება, ტკივილი მუცლის არეში, უმადობა. დაავადების სპეციფიკური მკურნალობა არ არსებობს. მოწოდებულია დამხმარე თერაპიის ჩატარება.

სპერიმენტებით დადასტურეს, რომ ვირუსი შესაძლებელია გადაეცეს კონტაქტის გარეშეც. დაკრძალვის რუტუალები, რომლის დროსაც ჭირისუფლებს აქვთ კონტაქტი დაღუპულის სხეულიდან, ვირუსის გავრცელების ერთ-ერთი წყაროა. დაღუპულის სხეულიდან, ვირუსი 3 კვირის განმავლობაში გამოიყოფა.

ეპოლა ვირუსის ბუნებრივი რეზერვუარი უცნობია, თუმცა არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ადამიანი ინფიცირდება დაავადებულ ცხოველთან კონტაქტით. დაავადება ადამიანიდან ადამიანზე შეიძლება გავრცელდეს ორი გზით:

ვინაიდან, უცნობია ადამიანის ვირუსით ინფიცირების მექანიზმი, პრევენციული ღონისძიებები გამოიხატება დაავადებულ ადამიანთან კონტაქტისას ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (ერთჯერადი ხელთათმანები, ნიღბები და სხვა დამცავი საშუალებების) გამოყენებით.

ვირუსის საინკუბაციო პერიოდი 2 დან 21 დღემდე გრძელდება. დაავადების სიპტომებია თავის, კუნთებისა და მუცლის ძლიერი ტკივილები, დიარეა და ანგინა. მოვლენებით ჩნდება მშრალი ხველება, მხსლეტავი ტკივილები მკერდში და დაპიდრატაცია, ვირუსი იწვევს სისხლის შემადგენლობის შეცვლას. ზიანდება სისხლძარღვები და იწყება სისხლდენები.

–ინფიცირებულ სისხლთან პირდაპირი კონტაქტი.  
–სისხლით კონტამინირებულ საგნებთან კონტაქტი.  
დაავადების გავრცელების გზიდან გამომდინარე, ხშირია ინფექციის საავადმყოფოს შიგა გავრცელების შემთხვევები.

ეპოლა ვირუსით დაავადებულ ადამიანთან კონტაქტის რესპუბლიკაში, მდინარე ებოლასთან. დაავადება ენდემურია აფრიკის ცენტრალურ, დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში (კონგო, გაბონი, სუდანი, სპალოს ძელის სანაპირო, უგანდა), სადაც ფიქსირდება კლინიკური შემთხვევები ადამიანებში.

ეპოლა ვირუსით გამოწვეული ჰემორაგიული ცხელების პროფილაქტიკის მიზნით საქართველოს საზღვრების მიმღებ-გამშვებ პუნქტებში შესაბამისი სამსახურების სამედიცინო პერსონალის მიერ მოწოდება თითოეული იმ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლებიც ჩამოდიან შემოდინების ხელშეწყობის არაკეთილსამართლო ქვეყნიდან. ებოლას ჰემორაგიული ცხელების გავრცელების მხრივ. მათზე სამედიცინო დაკვირვება საინკუბაციო პერიოდის განმავლობაში გრძელდება.

ეპოლა ვირუსი პირველად აღმოჩენილია კონგოს რესპუბლიკაში, მდინარე ებოლასთან. დაავადება ენდემურია აფრიკის ცენტრალურ, დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში (კონგო, გაბონი, სუდანი, სპალოს ძელის სანაპირო, უგანდა), სადაც ფიქსირდება კლინიკური შემთხვევები ადამიანებში.


პირველად ვირუსი დაფიქსირდა 1976 წელს ეკვატორულ სუდანსა და ზაირში. სუდანში დაინფიცირებული 284 ადამიანიდან დაიღუპა 151, ზაირში კი 308 დაავადებულიდან 280 გარდაიცვალა. ვირუსი პირველი ინფიცირება მოხდა ზაირში მდინარე ებოლას ხეობაში, საიდანაც გაჩნდა ვირუსის სახელწოდება.

ეპოლა ვირუსით გამოწვეული ჰემორაგიული ცხელების პროფილაქტიკის მიზნით საქართველოს საზღვრების მიმღებ-გამშვებ პუნქტებში შესაბამისი სამსახურების სამედიცინო პერსონალის მიერ მოწოდება თითოეული იმ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლებიც ჩამოდიან შემოდინების ხელშეწყობის არაკეთილსამართლო ქვეყნიდან. ებოლას ჰემორაგიული ცხელების გავრცელების მხრივ. მათზე სამედიცინო დაკვირვება საინკუბაციო პერიოდის განმავლობაში გრძელდება.

დაავადება მიმდინარეობს

სობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.

სულთანა



ამ წუთისოფელში ისე არაა ყველაფერი, როგორც ჩვენ ვგეგმავთ, ვფიქრობ უზუნაესმა უკეთ იცის, ვინ როდის წაიყვანოს ამ საწუთროდან მარადისობაში, თუმცა მოკვდავთათვის ამ ყველაფრის გაანალიზების მიუხედავად, ახლობელი ადამიანის ამქვეყნიდან წასვლა უდიდესი ტკივილია, რომელსაც ვერაფერი

კარლო უამათავა

აშუშებს... ერთი წელი მიილია მამა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. თურმე დიდმა ტკივილმა დაღუპება იცის, ბევრი ვთქვა ან ბევრი დავწერო, ესეც ძნელია... შენს ოჯახს, შენს ლიზის და ლუკას, შენს ახლობლებს ძალიან დააკლდი და ენატრები, შენ ხომ ყველაზე ერთნაირად შეგეძლო ზრუნვა... ისე დაგვრჩენია უფალს შევთხოვოთ სიმშვიდე და გიმკვიდროს და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში. **ოჯახი**

ლამარა კვარაცხელია

ქ. სობის №2 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი **ლამარა კვარაცხელია** და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს. სობის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ომის ვეტერანი **ოთარ ჩოკორობია** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს. სობის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ომის ვეტერანი **გული ჭაპუა** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# დასრულდა საერთაშორისო ტურნირი ნარდში



დასრულდა სობის ღირსეული მკვიდრის გოგი ბუკიას მემორიალური საერთაშორისო ტურნირი ნარდში. ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში“ გამართულ ჩემპიონატზე მსოფლიოს 15 ქვეყნის საუკეთესო მონარდებმა მიიღეს მონაწილეობა. ასპარეზობა სამ ჯგუფად დაიყო: პროფესიონალები, მოყვარულები და ნაკრები. 49 პროფესიონალ მოთამაშეს

თველოს ნაკრები მსოფლიო ნაკრების წინააღმდეგ იბრძოდა. საკმაოდ აზარტული და დაძაბული პაექრობა ქართველების სასარგებლოდ ანგარიშით 5:4 დასრულდა.

გოგი ბუკიას ტურნირი წელს მეშვიდედ ჩატარდა. ის 2007 წელს, „განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი სობის“ და ფონდის პრეზიდენტის გოდერძი ბუკიას ინიციატივით დაფუძნდა, ურუნა-ლისტისა და ნარდის ქომავის, გოგი ბუკიას ხსოვნის პატივსაცემად.

ტურნირი ნარდის მსოფლიო ფედერაციის ორგანიზებით ტარ-



შორის ანგარიშით 17:13 გაიმარჯვა ქართველმა დავით თევდორაძემ. ფინალისტი გახდა საქართველოს მოქალაქე კარენ სარქიანიანი.

საპაექროდ მოყვარულთა კატეგორიაში 30-მა მონარდემ მოიყარა თავი. ქართველს ზოგადად ძალიან უყვარს ნარდის თამაში. არ გვეულება ოჯახი, სადაც თუნდაც ერთხელ მაინც კამათელი არ გაგორებულა. საასპარეზოდ ჩასულებმა მართლაც დიდი ძალისხმევა გამოავლინეს. თუმცა გამარჯვებული ანგარიშით 14:2 თურქეთის მოქალაქე იასინ კარასა გახდა. ფინალისტი კი, ქართველი ანზორ ჯინჯარაძე იყო.

საინტერესოდ წარიმართა თამაში ნაკრებებს შორის. საქარ-

დებმა, პრეზიდენტი მარკო ფორნასირი (იტალია). იგი შეტანილია საერთაშორისო გათამაშების ცხრილში და ნარდის მსოფლიო ფედერაციის 2013-2014 წლის ოქროს წრეში.

თანაორგანიზატორები არიან საქართველოს ნარდის კლუბი და ნარდის ეროვნული ფედერაცია.

გოგი ბუკიას მემორიალურმა ტურნირმა სათანადო ავტორიტეტი მოიპოვა. ამის დასტურია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა დიდი ინტერესი და მონაწილეობა. ტურნირი ხელს უწყობს ჩვენს ქვეყანაში, როგორც ნარდის პოპულარიზაციასა და სპორტის სახეობად განვითარებას, ასევე ქართველი მონარდების საერთაშორისო თამაშებში ინტეგრირებას.

## ნიუიორკის „პარსელს პენის“ ფეშენ-შიოუ ლაკო ბუკია – დიზაინერი, ქართველი, თბილისელი და თითქმის სობელი



„პაეტიფიანი და შინაგანად დახეხილი ჩვენება“-სე აფასებენ ლაკოს ყრვიციფოსები ქართულს. რომელმაც თამამად შეაბიჯა ახალი ფაჩისელებების აღმოჩენის საუფლოში და ყრვიციფითა და ინდივიდუალისში ნარდდა მალალი რანგის სცუმების ნინაშე. მის ნიჭიერებას ნიუ-იორკის

შიდის დედოფალი დონა ყაჩისანი ვეერდს ვერ უფლის და ნიუ-იორკის „მეჩნედს ბენის“ ფეშენ-ფიოზე თაგად უფინანსებს დეფილეს. ის ყრვიციფითი ქართულია. რომელმაც შიდის სე-ყრვიში ყველაზე პრეზიციფული აშშ-ს პარსონის უნივერსიციფის შაგისციონის ყრვისდამთაყრებულის დიპლოში შიიპოგა. მას აღიარებენ. ნიოვირც ქალური სილუეციფის აღქმის უდიდეს პრეფესიონალს. მის შექმნილ სამოსებს. ნარშისხაგის ესოდენ შდიდარ ბუნე-ბას და შთაგონებას იშვიით შიოღუნად შიიჩნევენ ცნობილი დიზაინერები და ყრვიციფისედაც ყი აღიყამენ მას. ეს ლაყი ბუყიასა! დიზაინერი! ქართული. თბილისელი და თითქმის სობელი. სიციციფის ხალიხით და უნიყალური ნიჭით დაჯილდოებული ყოლხი ქალბაციფიანი.

ნინო დიპარტია



**დაგფუძენიეპელი: სობის მფნიცი კალიტიტის საკრებულო.** **სარედაქციო კოლეგია:** თავმჯდომარე შ.პ.ს. „სობის მოამბე“ დირექტორი-მერი ლავგილავა, თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე-ნანი კილასონია. რედაქტორი-მანანა შულაია. ჟურნალისტები-ნანა კემულარია, ნინო გერგაია. კომპიუტერული უზრუნველყოფა-ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აუფუო და ლაპაპალონდა შპს „სობის მთამბეში.“ მის: სობი, ჟმინდა ნინოს ქუჩა №1 ტაფ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru ლაიბეჭდა შ.პ.ს. გაგომცემლოზა „კოლორში“. თბილისი, რკინიბზის ჩიბი №20.

გაზეთი ხელმძღვანელოზს თაზისუფალი პრინის პრინციპებით. გაზეთში ლაპაპალო მასალის სიხუსტაზე პასუხისმგებელია ავტორი.